Модернизация – это закономерный этап развития всей социально-экономической системы и, прежде всего, человека, неизбежно сопровождается воспроизводством неравенства, новой бедности, сокращением доступности потребления общественных благ. Огромный комплекс гуманитарных проблем современного этапа модернизации проявляется в росте неопределенности и социальной напряженности. По оценке Э. Тоффлера «...убыстрение перемен не просто ударяет по промышленности или странам. Это конкретная сила, которая глубоко проникает в нашу частную жизнь, заставляет нас играть новые роли и ставит нас перед лицом опасности новой и сильно подрывающей душевное равновесие психологической болезни. Эту новую болезнь можно назвать «шок будущего», и знание ее причин и симптомов помогает объяснить многое, что в противном

случае не поддается рациональному анализу» [2], стр.14 Признание возрастающей неопределенности закономерно влечет за собой иное сущностное отношение к методологии и практике инновационного развития. Уже ставшие своеобразной традицией обращения к историческому опыту закладывают новые противоречия между требованиями современности и пусть ценными, но невозможными к использованию методами управления производством, общественной жизнью. Неопределенность – важнейшая характеристика даже недалекого будущего. О высокой неэффективности разработки различных планов, прогнозов свидетельствуют многочисленные негативные оценки государственных программ экономического развития. Гуманитарные компоненты жизнедеятельности человека, приобретшие остроту в конце XX в. начали привлекать внимание великих физиков. В последней работе П. Капицы «Парадоксы роста. Законы развития человечества» предложено своеобразное научное завещание для всех обеспокоенных проблемами существования цивилизации. «Парадоксы роста. Законы развития человечества». «Надо коренным образом изменить метод исследования, точку зрения как в пространстве, так и во времени и рассматривать человечество с самого начала его появления как глобальную структуру. В этом случае причину роста следует искать не в сумме всех действующих факторов, а в том коллективном взаимодействии, которое охватывает все человечество и определяет его развитие. Более того, как выяснилось, развитие этой динамической системы не только нелинейное и необратимое, но и далекое от равновесия и в настоящее время завершается демографической революцией. Это фазовый переход в новое состояние именно в физическом смысле. За всю свою историю человечество никогда прежде не переживало такой глубокой перестройки системы, что и делает наше время столь уникальным» [3, стр 7].

Человек в отличие от всех представителей живой природы наделен не только эмоциями, но и разумом. Исследования гуманитарных процессов в современных условиях не может сбрасывать со счетов их соотношение при принятии решений, поведении, оценки результатов и т.д. Как нестранно, но гуманитарная наука обязана вернуться к глубинному изучению роли личности в истории. В «Большой этике» Аристотель писал: «Если обратиться теперь к добродетелям, то может возникнуть вот какое затруднение: известно, что разум способен подчинять себе чувства (мы говорим о человеке воздержном) и что чувства, действуя в противоположном направлении, способны подчинять себе разум...»[1]. слова, написанные за несколько столетий до н.э. приобретают огромное значение в настоящее время. О том, как часто реализация благих целей для оборачивается злом для других служит современная практика коммерциализация. В рамках предложенного формата сложно перечислить даже незначительную часть последствий экономической эффективности. Но можно сказать однозначно. Сокращение затрат на гуманитарную компоненту жизни человека сопровождается огромными экономическими потерями безнравственного поведения. Модернизация по технико-технологическому сценарию – это «неверное направление разума». По Аристотелю «Добродетель, как мы признаем, появляется тогда, когда верно направленный разум бывает согласен с движениями чувств, которым присуще иметь собственную добродетель, а движения чувств согласны с разумом». [1]. Вопрос на что направлена модернизация имеет принципиальное значение. В нынешней интерпретации модернизация означает расширение потребления, а каким образом оно скажется на каждом конкретном человеке, даже не обсуждается в гуманитарной науке.

ЛИТЕРАТУРА/REFERENCES

1. Аристотель Большая этика. ок.347-330 г. до н.э. <http://filosof.historic.ru/books/item/f00/s00/z0000351/index.shtml>
2. Бадью,Ален Этика: Очерк о сознании Зла — СПб., Machina, 2006. — 126 с.
3. Капица П. «Парадоксы роста. Законы развития человечества»: — Альпина нон-фикшн; Москва; 2010. — 72 с.
4. Конт О. Позитивная социология. <http://www.grandars.ru/college/sociologiya/ogyust-kont.html>
5. Печчи А.. Человеческие качества. — М.: Прогресс, 1980. – 302 с.
6. Тоффлер Э. Шок будущего: — М.: ООО «Издательство АСТ», 2002. —557с.

**ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა, რომორც
საზოგადოებრივი კეთილდღეობის შექმნის წინაპირობა**

**SOCIAL RESPONSIBILITY OF BUSINESS AS THE BASIS OF THE CRE-
ATION OF PUBLIC WELFARE**

ირმა ჩხაიძე

IRMA CHKHAIDZE

*ეკონომიკის დოქტორი, ბათუმის
შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი*

*Doctor of Economics, Associate Professor.
Batumi Shota Rustaveli State University*

ანოტაცია

ეფექტიანი კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა არის ნაბიჯი კომპანიის აღიარებისაკენ არა მარტო საკუთარ ქვეყანაში, არამედ საერთაშორისო ბაზარზეც, როგორც იმიჯის დამკვიდრებისაკენ. სამყაროში, სადაც ბრენდი და რეპუტაცია კომპანიის ყველაზე ღირებული ფასიულობაა, სოციალური პასუხისმგებლობა კომპანიას ნდობას და ერთგულებას მოაპოვებინებს, რაც მისი წარმატებული და მდგრადი მომავლის გარანტიაა. ის აძლიერებს პარტნიორთათვის ბიზნესის მიმზიდველობას, იწვევს კომპანიის მიერ წარმოებულ საქონელზე და მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდას, ხელს უწყობს მათ შენარჩუნებას, შრომითი რესურსების მოზიდვას და პერსონალის მეტ ლოიალობას, აგრეთვე ხელისუფლებასთან ურთიერთობის გაუმჯობესებას, რაც ერთობლიობაში, უფრო ხელ შემწყობი ბიზნეს გარემოს შექმნაში აისახება.

კვლევების საფუძველზე დგინდება, რომ კომპანიის მენეჯერები მართალია აცნობიერებენ კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის დადებით (მის მნიშვნელობას კომპანიის დადებითი იმიჯის ფორმირების და მომხმარებელთა ლოიალობის თვალსაზრისით) ზეგავლენას კომპანიის საქმიანობაზე, თუმცა აღნიშნულის მიუხედავად პრობლემატურ საკითხად ასახელებენ სოციალურ პასუხისმგებლობაზე ორიენტირებული კომპანიებზე მოქმედ ხელის შემშლელ ფაქტორებს, რომელსაც მიეკუთვნება ქვეყანაში მსგავსი პრაქტიკის გამოცდილების ნაკლებობა, დაუსვეწავი კანონმდებლობა; საქმიანობის განხორციელებისათვის არასაკმარისი ფინანსები და სხვა ფაქტორები.

წინამდებარე სტატიაში შესწავლილია კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფცია. განსაზღვრულია სოციალურ პასუხისმგებლობაზე ორიენტირებული კომპანიის ბალანსირებული სისტემა, რომელიც თავის მხრივ მოიცავს: ბიზნესის შემოსავლიანობის უზრუნველყოფას, გარემო პირობებზე ზრუნვას და სოციალური პროექტების განხორციელებას სხვადასხვა სფეროში.

გაანალიზებულია თუ, რა გავლენას ახდენს კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობა, როგორც კომპანიის ბიზნეს-საქმიანობაზე ასევე საზოგადოებაზე. განხილულია სოციალურ პასუხისმგებლობაზე ორიენტირებული კომპანიების მიმართ ერთი მხრივ, არის თუ არა ლოიალური საზოგადოება, და მეორე მხრივ, მათ განვითარებაზე თუ რა ხელის შემშლელი ფაქტორები მოქმედებს, რაც აფერხებს კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესი, სოციალური პასუხისმგებლობა, საზოგადოებრივი კეთილდღეობა.

Abstract

Development and implementation of effective policy of corporate and social responsibility is a step on the way to recognition of a company as an image-founder not only in the country, but also in the international market. In the world where reputation and brand are the greatest values, social responsibility contributes to the acquisition of confidence of the company which is a guarantee of its successful and stable future. It makes business more attractive to the partners, causes increase in demand for the goods and services manufactured by the company, contributes to their safety, attraction of labor resources and greater staff loyalty and also to improvement of the relations with the

government which is together reflected in creation of more favorable business environment.

Managers of the companies actually realize positive influence of corporate social responsibility on activity of the company (its importance in formation of a positive image of the company and in an issue of the consumer loyalty) though despite it problematic issues are the factors influencing the companies focused on social responsibility; these are lack of similar practice within the country, imperfect legislation, insufficient quantity of finance for activity and other factors.

The present article studies the concept of corporate social responsibility. It's defined as a balanced system of the company which is oriented on social-responsibility, which on the other hand includes: to provide business profitability, take care about the environment, to provide social projects in the different sphere.

It's analyzed how it impacts the company's social responsibility, As the company's business-also the activity of the society. It's considered companies which are oriented on social-responsibility on the one hand, is it a loyal community, and on the other hand what obstacle factories are influencing on it's development, that hinders the development of corporate social responsibility.

Keywords: *business, Social responsibility, public welfare.*

შესავალი

თანამედროვე ეტაპზე აუცილებელია ვისაუბროთ ღირსეულ ბიზნესზე, იმ ბიზნესზე, რომელიც საფუძვლად უდევს ნამდვილ ცივილიზებულ ეკონომიკას და ითვალისწინებს კომპანიათა კეთილი ნებით და სურვილით პრაქტიკული რეალიზება გაუკეთდეს ბიზნეს კულტურის განუყოფელ ნაწილს - კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას, რომელიც ზოგადი განსაზღვრებით გულისხმობს კომერციული წარმატების მიღწევას ეთიკური პრინციპების დაცვით; სოციალურად, ეკონომიკურად და ეკოლოგიურად მდგრადი განვითარების ხელშეწყობით; შრომით ურთიერთობებში მუშაკებთან თავისი წვლილის შეტანით; საზოგადოების ცხოვრების ხარისხის დონის ამაღლებით. თუმცა აუცილებელია კომპანიები მოქმედების პროცესში ავლენდეს სოციალური პასუხისმგებლობის მრავალსაფეხურიანობას მისი თანმიმდევრულობის დაცვით, რაც არის საზოგადოებრივი კეთილდღეობის შექმნის საფუძველი.

საზოგადოებრივი კეთილდღეობის შექმნაში ბიზნესს თუ რა როლი აკისრია, ამ საკითხებზე დისკუსია წლების მანძილზე მიმდინარეობს მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად საქართველოშიც, რის გამოც ნაშრომის კვლევის მიზანია არა მხოლოდ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების მოტივების შესწავლა-გაანალიზება და ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა, არამედ კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის გავლენის ზემოქმედება, როგორც კომპანიის საქმიანობაზე ასევე საზოგადოებისათვის კეთილდღეობის შექმნაზე.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე განსახორციელებელი ამოცანებია: განისაზღვროს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კონტექსტში წარმოდგენილი ტერმინი „სამმაგი თამაში“, რაც გვიჩვენებს კომპანიის ბალანსირებულ სისტემაში კავშირს სამ ურთიერთდა-

კავშირებულ მაჩვენებელს შორის, რომლებსაც მიეკუთვნება: ბიზნესის შემოსავლიანობის უზრუნველყოფა, გარემო პირობებზე ზრუნვა და სოციალური პროექტების განხორციელება. კვლევის ორიგინალობა (ავტორის წვლილი) გამოვლენილია იმ პრობლემების კვლევებში, რომლებიც საჭიროებს ქვეყნის ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური მდგრადობის მიღწევაში მაღალი ხვედრითი წილით თავისი წვლილი სახელმწიფოს გარდა შეიტანოს (საქართველოში სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრაზე ზრუნავს სახელმწიფო-63%-ით, ბიზნესი-37%-ით, საზოგადოება-21%-ით, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციების პასუხისმგებლობის ხარისხი, აღნიშნულ პროცესებზე ზეგავლენის მოხდენის თვალსაზრისით -39%-ს შეადგენს) ბიზნესმა, კერძოდ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანიებმა: გარემოს დაცვაზე ზრუნვით, სხვადასხვა სფეროში სოციალური პროექტების განახორციელებით და შიდაკორპორატიული პასუხისმგებლობით.

პრაქტიკული რეალობა ცხადყოფს, რომ კომპანიის განვითარების დონე არის განმსაზღვრელი შიდაკორპორატიულ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული აქტივობებისა, რომელთაგან: თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება ითვალისწინებს თანამშრომელთათვის პირადი (ცოდნის დაგროვება) კეთილდღეობის შექმნას, ხოლო თანამშრომელთა სხვადასხვა ფორმით წახალისებას საფუძვლად უდევს თანამშრომელთა არა ცოდნის დაგროვება, არამედ თანამშრომელთა უნარ-ჩვევების გამოვლენა-რეალიზება. ყოველივე ეს კი განაპირობებს კომპანიის შიდა ეფექტის (მოგება) გაზრდას. კვლევის შედეგები დგინდება, რომ გამოკითხულ კომპანიათა-78% (მსხვილი კომპანიების-88%-ი, საშუალო კომპანიების-70.6%-ი) გამოყოფს თანხებს ტრენინგების ჩასატარებლად რათა აამაღლოს თანამშრომელთა კვალიფიკაცია.

კერძოდ, გამოკითხულ კომპანიათა 46%-ი ტრენინგებს ატარებს საკუთარი რესურსებით, 39.7%-ი მოწვეული ტრენერებით, 34.9%-ი გზავნის თანამშრომლებს კვალიფიკაციის ასამაღლებლად საზღვარგარეთ.

თანამშრომელთა სხვადასხვა ფორმით წახალისებას განხორციელებს გამოკითხულ კომპანიათა 88.9%-ი (მსხვილი კომპანიების-96.4%-ი, საშუალო კომპანიების-82.9%-ი). საშუალო და მსხვილ კომპანიათა-82.5% წახალისების მიზნით იყენებს ფულად პრემიას, ხშირად მიმართავენ ხელფასის მომატებას და დასაჩუქრებას. 42.9%-თანამშრომლებისათვის ორგანიზებას უკეთებს გასართობ, კულტურულ და სპორტულ პროგრამებს; 4.8%-თანამშრომლებს უზრუნველყოფს საპენსიო სისტემით; 6.3%-ახორციელებს თანამშრომელთა სიცოცხლის დაზღვევას.

კომპანიები შიდაკორპორატიული პასუხისმგებლობის განხორციელების პარალელურად მიზანშეწონილია ზრუნავდეს გარემოს დაცვაზე. გარემოს დაცვაზე ზრუნვა კვლევაში მონაწილე კომპანიის მენეჯერთა 92%-ისათვის მნიშვნელოვანია, 7%-ისათვის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანია, 2%-ისათვის უმნიშვნელო, ხოლო 27% გარემოსდაცვითი მიმართულებით პასუხისმგებლობის მიზეზებად ასახელებენ: ფინანსების ნაკლებობას, დროის დეფიციტს, სახელმწიფოს მხრიდან პასუხისმგებლობას. ბოლო წლების მანძილზე გამოკითხულ კომპანიათა 64%-ი არ ახორციელებს ინიციატივებს გარემოსდაცვითი მიმართულებით, რადგან საკუთარ როლს გარემოს დაცვაში ბუნდოვნად ხედავენ და მათთვის გარემოსდაცვითი საკითხები ნაკლებად აქტიური და პრიორიტეტულია.

კომპანიის სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული აქტივობებიდან მნიშვნელოვანია სოციალური პროექტების განხორციელება სხვადასხვა სფეროებში. გამოკითხულ 63-კომპანიიდან სოციალურ პროექტებს ახორციელებს-81%, მსგავსი პროექტების განხორციელებაში არ მონაწილეობს-19%. გამოკითხულ კომპანიათა 70.6%-ი ეწევა სოციალურად დაუცველ ფენებზე დახმარებას, 52.9%, 41.2% და 37.3% პროექტებს განხორციელებს შესაბამისად კულტურის, სპორტის და განათლების სფეროში, ხოლო სტიქიური უბედურებების შედეგების ლიკვიდაციის განხორციელებს 29.4%, სოციალურად დაუცველი ფენების დახმარების თვალსაზრისით ერთნაირად აქტიურები არიან როგორც მსხვილი, ისე საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები, სპორტს ეხმარება-15 მსხვილი და 6 საშუალო კომპანია, კულტურას-17 მსხვილი და 10 საშუალო კომპანია, განათლებას-10 მსხვილი და 9 საშუალო კომპანია. სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციაში-10 მსხვილი და 5 საშუალო კომპანია მონაწილეობს.

სოციალური პროექტიდან უმნიშვნელოვანესია საქველმოქმედო საქმიანობა, რომელიც კომპანიის მიერ უანგარო, არა შედეგზე ორიენტირებული საქმიანობაა. ყოველივე ეს კი ავლენს ერთი მხრივ კომპანიისადმი მომხმარებლის ლოიალობის ზრდას, და მეორე მხრივ კომპანიის დადებით მახასიათებლებს, რომლებსაც მიეკუთვნება: სოციალურად აქტიურ კომპანიებზე მომხმარებელთა უპირატესობების მინიჭება, რაც ზრდის მომხმარებლის თვალში ბრენდის და კომპანიის სახელს, ავლენს მეტნდობას კომპანიის მიმართ. ყოველივე ეს კი განაპირობებს კომპანიის მიერ წარმოებულ საქონელზე თანაბარ პირობებში უპირატესობების მინიჭებას, მომხმარებლების ზრდას, კომპანიის იმიჯის მოპოვებას და შენარჩუნებას.

დასკვნა

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან საბაზრო ეკონომიკის გარდამავალ ეტაპზე გადასვლის პარალელურად საფუძველი ჩაეყარა ბიზნეს საქმიანობის განვითარებას, რომლის უმთავრესი მიზანი არის მაქსიმალური მოგების მიღება, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნულ პერიოდში საქართველოში მოქმედ ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები, რომლებიც ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებლნი იყვნენ ფირმის მმართველობით სისტემაში მათთვის უცხო იყო -კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის არსი და პრაქტიკული მნიშვნელობა, და მის უმთავრეს ნაბიჯს წარმოადგენს შიდაკორპორატიული პასუხისმგებლობა, რომლის მიმართაც დაკავშირებული აქტივობები განუხორციელებელი რჩებოდა. ახლად ჩამოყალიბებულ დემოკრატიულ სახელმწიფოში, რთული პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის პირობებში სუსტი იყო სახელმწიფო კონტროლი კერძო სექტორზე, რის გამოც კერძო სექტორის მიერ გარემოზე ზრუნვა პრობლემატურ საკითხად არ სახელდებოდა და რათქმაუნდა საუბარი არ იყო უმნიშვნელოვანესი სოციალური პროექტების განხორციელებაზე.

კვლევის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები გამოიხატება საქართველოში მოქმედ კომპანიებში კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის კულტურის დამკვიდრების აუცილებლობაში. ნაშრომის კვლევის შედეგად მიღებული თეორიული და მეთოდოლოგიური შედეგები გამოადგებათ კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის საკითხებით დაინტერესებულ კერძო სექტორის წარმომადგენლებს, მკვლევარებს, დოქტორანტებს, მაგისტრანტებსა და ბაკალავრიატის სტუდენტებს.

რეკომენდაციები.

საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კულტურის დამკვიდრების მიზნით მოქმედმა კომპანიებმა მიზანშეწონილია: იზრუნოს სახელმწიფოსა და საზოგადოებასთან ერთად ქვეყნის ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური მდგრადობის მიღწევისათვის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კულტურის დამკვიდრებასა და სრულყოფაზე, რაც ითვალისწინებს თავდაპირველად შიდაკორპორატიული პასუხისმგებლობის ზრდას, პარალელურ რეჟიმში ზრუნვას გარემოს დაცვაზე და კომპანიის მიერ სხვადასხვა სფეროში იმ უანგარო, არა შედეგზე ორიენტირებული (არა მოგებაზე ორიენტირებული) საქმიანობის განხორციელებას რომლებსაც მიეკუთვნება უმნიშვნელოვანესი სოციალური პროექტების განხორციელება და საფუძვლად უდევს საზოგადოებრივი კეთილდღეობის შექმნა.

განხორციელოს კომპანიის მიერ პრიორიტეტების ნუსხაში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის არა მხოლოდ დასაბუთება არამედ მათი პრაქტიკული განხორციელება, რადგან კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ გამოკითხულ მენეჯერთა 65%-ი ეთანხმება იმ გარემოებას, რომ სოციალური პასუხისმგებლობის პრაქტიკული განხორციელება მნიშვნელოვანია კომპანიის დადებითი იმიჯის ჩამოყალიბებისათვის. აღნიშნულის საუკეთესო მაგალითად შესაძლებელია დასახელდეს „Economist Intelligence Unit“ და „McKinsey“ კომპანიების მიერ ჩატარებული კვლევები. „ცონომისტ ინტელლიჯენცე ნიტ“ კომპანიის მიერ

(2005 და 2008 წლებში) გამოკითხულ 1192 ტოპ მენეჯერიდან 2005 წელს 30%-მა და 2008 წელს 60%-მა, ხოლო „McKinsey“ კომპანიის მიერ 2007 წელს გამოკითხულ ხელმძღვანელთა 95%-მა თავიანთი კომპანიების პრიორიტეტების ნუსხაში დაასახელეს კორპორაციული პასუხისმგებლობა;

კომპანიები წლების მანძილზე არა მხოლოდ აცნობიერებენ კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის დადებით (მის მნიშვნელობას კომპანიის დადებითი იმიჯის ფორმირების და მომხმარებელთა ლოიალობის თვალსაზრისით) ზეგავლენას კომპანიის საქმიანობაზე, არამედ პრობლემატურ საკითხად ასახელებენ სოციალურ პასუხისმგებლობაზე ორიენტირებულ კომპანიებზე მოქმედ ისეთ ხელის შემშლელ ფაქტორებს როგორცაა, ერთის მხრივ მსგავსი პრაქტიკის გამოცდილების ნაკლებობა, მეორეს მხრივ ჯერ კიდევ არსებული დაუხვეწავი კანონმდებლობა და არა ჯანსაზღვი ბიზნეს გარემო. აღნიშნულს შესაძლებელია საფუძვლად დაუდოთ გამოკითხულ მენეჯერთა შეფასებები. კერძოდ, მენეჯერთა 38%-ს მიაჩნია, რომ ქვეყანაში შესამჩნევია მსგავსი პრაქტიკის, გამოცდილების ნაკლებობა, 26%-ი თვლის, რომ არ არსებობს ხელშემწყობი კანონმდებლობა; 17%-ი თვლის, რომ არაჯანსაღი ბიზნეს გარემოა, ხოლო 13%-ს მიაჩნია, რომ ამ საქმიანობის განხორციელებისათვის არასაკმარისია ფინანსები, 9%-ის აზრით ეს არ არის ბიზნესის უშვალო ფუნქცია, 6%-ი თვლის, რომ საზოგადოება პასიურია, 2%-ს მიაჩნია, რომ არ არსებობს მთავრობის მხრიდან მითითებები.

ლიტერატურა/REFERENCES

1. თ. შენგელია, ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, თბ., 2008. {T.Shengelia, Fundamentals of modern business, Tbilisi 2008};
2. ინოვაციები ბიზნესში (პრობლემები, პერსპექტივები, გამოწვევები), შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები, ბათუმი 2010, 16-17 აპრილი, გვ-215, თბ., 2010. {Innovations in Business (Problems, prospects, challenges) International scientific-practical conference dedicated to the 75th anniversary of Shota Rustaveli State University, Materials international scientific-practical Conferences, Batumi 2010, April 16-17, Tbilisi 2010};
3. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, თბ., 2007. {The center for strategic research and development of Georgia, Tbilisi 2007};
4. Экономика финансов и бизнес проблемы и перспективы развития, материалы первой Всероссийской конференции молодых ученых. М., 2010
5. [Http://www.google.com/search?sourceid=chrome&ie=UTF-8&g](http://www.google.com/search?sourceid=chrome&ie=UTF-8&g)
6. <http://24saati.ge/news/story/20133-korporatsiuli-sotsialuri-pasukhismgebloba-da-misi-mnishvneloba-qveynis-ganvitarebisatvis>
7. <http://gau.ge/ge/news/public-lecture-on-corporate-social-responsibility>

ინტეგრაციული პროცესები ბიზნესის კლასტერიზაციის
კონტექსტში

INTEGRATION PROSESES IN THE CONTEXT OF
BUSINESS CLUSTERING

ევგენი ბარათაშვილი

თამარ ლაგვილავა

მანანა ბერუაშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა
დოქტორი, საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის პროფესორი

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი

საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტი

Evgeni Baratashvili

Tamar Lagvilava

Manana Beruashvili

*Doctor of Economic Sciences, professor of
Georgian Technical University*

*PhD Students of Georgian
Technical University*

*PhD Students of Georgian
Technical University*

ანოტაცია

კლასტერები, როგორც წესი, ყალიბდება პროგრამების ფარგლებში შემდეგი სამი სუბიექტიდან ერთ-ერთის ინიციატივით, ესენია: საკუთრივ მცირე საწარმოები, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები და/ან მსხვილი კორპორაციები.

კლასტერების ინტეგრაციული პროცესები თავისთავად საკუთრების პოზიციიდან აქტივებზე კონტროლის დაწესება და მათი მართვაა. იგი შეიძლება განხორციელდეს ორი გზით. პირველი გზა გვხვდება, როდესაც საქონლის წარმოება და რეალიზაცია ფართოვდება კომპანიის შიდა წყაროების ხარჯზე.

მეორე გზა ვარაუდობს ბიზნესის გაფართოებას სხვა კომპანიათა აქტივების შექმნის ხარჯზე ან მიმდინარეობს კლასიკური ინტეგრაციის ფორმით.

საზღვარგარეთული გამოცდილება კლასტერების ინტეგრაციულ პროცესში მიზანშეწონილი იქნებოდა გვეცადა ქართულ სინამდვილეში და გამოგვეყენებინა ძალისხმევათა კონსოლიდაციის სფეროში ინოვაციური მცირე მეწარმეობის განვითარების საქმეში.

საკვანძო სიტყვები: საწარმოთა კლასტერები, კლასტერების ინტეგრაციული პროცესები, ქსელური გაერთიანებები, ალოკაცია, სპონტანური, ინდუსტრიული კლასტერები

Abstract

Clusters are usually formed within the next three programs the subject of one of the initiative, including: Own small businesses, local authorities and / or large corporations.

Clusters integration process itself Continue from property assets and their management control. It can be done in two ways. The first way can be found in the production and sale of goods, is expanding the company's internal sources.

The second ways suggests to expand business to other companies or to buy assets at the expense of being a classic form of integration.

of overseas experience to the Clusters integration process would be advisable to try to use in the Georgian reality and consolidation efforts in the field of innovative small enterprise development.

Key words: Enterprise clusters, clusters in the integration process, network associations, allocation, spontaneous, industrial clusters

საერთაშორისო პრაქტიკაში არსებობს ისეთი ჯაჭვის მიზანმიმართული ფორმირების მაგალითები, რომელთაც ეწოდება საწარმოთა კლასტერები. თერთმეტ ქვეყანაში მოქმედი კლასტერული სისტემების შესწავლილმა გამოცდილებამ საშუალება მისცა „გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაციის“ სპეციალისტებს, შეემუშავებინათ ინსტიტუციური პოლიტიკის განზოგადებული კონცეფცია, რომელიც მიმართული იქნებოდა ქსელური სამეწარმეო კავშირების მხარდასაჭერად.

კლასტერები, როგორც წესი, ყალიბდება პროგრამების ფარგლებში შემდეგი სამი სუბიექტიდან ერთ-ერთის ინიციატივით, ესენია: საკუთრივ მცირე საწარმოები, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები და/ან მსხვილი კორპორაციები. ცნობილია, რომ კონტრაქტების უმრავლესობა იდება რეგიონულ ფირმებთან ერთი და იმავე მიმწოდებლებითა და მომხმარებლებით. ეს მუდმივობა სტიქიურად აყალიბებს იმ ურთიერთდაკავშირებული საწარმო-პარტნიორების გარკვეულ წრეს, რომლებიც მუშაობენ ადგილობრივ ჯაჭვში.

მცირე და საშუალო საწარმოები შეადგენენ სამრეწველო საწარმოების 90%-ს და უზრუნველყოფს სამრეწველო წარმოებაში შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმებას 40-დან 80%-მდე. განვითარებად ქვეყნებში მცირე და საშუალო საწარმოების როლი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში იგი ერთადერთი შესაძლებლობაა დამატებითი სამუშაო ადგილების შესაქმნელად. მცირე ბიზნესის ძლიერი სექტორი ფრიად მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისთვის. ამასთან ერთად მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება საფუძველია მესამე კლასის ფორმირებისთვის, რადგან მისი მეშვეობით ხდება ქვეყანაში დემოკრატიული გარდაქმნების განვითარება და სრულყოფა. ამასთან დაკავშირებით გარდაქმნები მცირე მეწარმეობის სფეროში არა მხოლოდ ეკონომიკური პრობლემაა, არამედ გარკვეულწილად პოლიტიკურიც. კლასტერების ინტეგრაციული პროცესები თავისთავად საკუთრების პოზიციიდან აქტივებზე კონტროლის დაწესება და მათი მართვაა. იგი შეიძლება განხორციელდეს ორი გზით. პირველი გზა გეხვედება, როდესაც საქონლის წარმოება და რეალიზაცია ფართოვდება კომპანიის შიდა წყაროების ხარჯზე, ამასთან ეს პროცესი იწვევს წარმოების ახალი სტადიის გაჩენას, ე.ი. იმ ნაკეთობის დამზადების სხვა ეტაპების გაჩენას, რომელიც წარმოდგენილია უკვე არსებულ ბაზარზე. ასეთ ინტეგრაციას ეწოდა ბუნებრივი, ვინაიდან ერთიანდება წარმოების საკვანძო ტექნოლოგიური სტადიები. აქ გარკვეულწილად შენარჩუნებულია წარმოების წინა ორგანიზაცია, უწინდებური კონტროლი საკუთრებაზე და განყოფილებათა ქცევაზე, აგრეთვე ნელ-ნელა ფართოვდება შიდაფირმული ურთიერთობების სფერო. მეორე გზა ვარაუდობს ბიზნესის გაფართოებას სხვა კომპანიათა აქტივების შექმნის ხარჯზე ან მიმ-

დინარეობს კლასიკური ინტეგრაციის ფორმით, რომელიც ხორციელდება ერთი ფირმის მიერ მეორის შექმნის პროცესში. იგი გულისხმობს სრული კონტროლის დაწესებას როგორც საკუთრებაზე, ისე აქტივების მართვაზე. ზოგჯერ იქმნება ისეთი სიტუაცია, როცა ვერ ხერხდება სრული კონტროლი ინტეგრირებული აქტივების საკუთრებაზე, ე.ი. ვერ ხდება აქციათა აუცილებელი პაკეტის კონსოლიდირება, მაგრამ ამასთან ერთად მაინც არის შესაძლებლობა განვასორციელოთ კონტროლი აქტივების მართვაზე. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არასრული ან ნაწილობრივი ინტეგრაციის მოვლენასთან. ორგანიზებული მენეჯმენტის დახმარებით შეიძლება განვახორციელოთ საკმაოდ სრული კონტროლი მისი იურიდიული გაფორმების გარეშე იმ ფირმის საკუთრებაზე, რომელიც შედის ინტეგრირებულ სტრუქტურაში. ეს ზოგჯერ მიიწვევა, მაგალითად, ისეთი ხელშეკრულების დადებით, რომელშიც ვერტიკალური შეზღუდვაა. შედეგად ერთი კომპანია ამყარებს კონტროლს მეორის, იურიდიულად დამოუკიდებელი ფირმის ქცევაზე. ასეთ შემთხვევაში იურიდიულად დამოუკიდებელი კომპანიები, რომელთა საწესდებო კაპიტალში შეიძლება საერთოდ არ იყოს აქციათა წილი, რომელიც ეკუთვნის აქტიურ ფირმას, ნებაყოფლობით ეთანხმებიან კონტროლს ბაზარზე მათ ქცევაზე. როცა არსებობს კონტროლი ფორმალურად დამოუკიდებელი ფირმების ქცევაზე მათ საკუთრებაზე კონტროლის უქონლობით, მაშინ ამ მოვლენას უწოდებენ კვაზინტეგრაციას. მაშასადამე, ძირითადი კრიტერიუმი სრულ, ნაწილობრივ და კვაზინტეგრაციად დაყოფისთვის არის აქტიური ფირმის კონტროლის ხარისხი საკუთრებაზე ბიზნესის სხვადასხვა ფორმის მართვაზე სრული კონტროლის შენარჩუნებისას. ფირმებისთვის, რომლებსაც აქვს გიგანტური საბაზრო ძალაუფლება, კვაზინტეგრაციის გამოვლენის ეკონომიკურ ფორმებად გვევლინება ვირტუალური კორპორაციები და სტრატეგიული ალიანსები. ქსელური გაერთიანებები და საწარმოთა კლასტერები ყალიბდება საშუალო და წვრილი ფირმებისგან, რომელთაც არ აქვთ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება. მაგრამ რა ფორმებიც უნდა მიიღონ საწარმოთა კლასტერებმა, მიუხედავად ამისა, მათი ძირითადი სტრუქტურული ელემენტის სახით რჩება მცირე და საშუალო საწარმოები, რომელთაც არ აქვთ საბაზრო ძალაუფლება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ესენი არიან დარგობრივი ბაზრის მცირე მოთამაშეები, რომელთა გაყიდვათა წილი ცალ-ცალკე საკმაოდ უმნიშვნელოა. ნათქვამს დავექნეთ, რომ კლასტერს შეადგენს იურიდიულად დამოუკიდებელი საწარმოები, რომელთაგან თითოეულს აქვს საკუთრების საკუთარი ფორმა. საწარმოთა კლასტერის მეორე სტრუქტურული ელემენტია ერთი ან რამდენიმე საზოგადოებრივი გაერთიანების არსებობა, რომლებიც თავიანთი საქმიანობით უზრუნველყოფენ მცირე ბიზნესის რისკების დონის

შემცირებას. მცირე საწარმოთა კლასტერები სავარაუდოდ იქმნებოდა სტიქიურად. სპონტანურად შექმნილი საწარმოთა კლასტერი, როგორც ჩანს, ყველაზე ძლიერი ტიპია სიცოცხლისუნარიანობის თვალსაზრისით. ასეთ გაერთიანებაში ბიზნეს-ლიდერებმა იციან, რა და როგორ გააკეთონ, და აკეთებენ თავიანთ სამუშაოს. საწარმოთა კლასტერის სპონტანურად ჩამოყალიბების მაგალითი შეიძლება იყოს კლასტერი ტუტლინგენში. ქირურგიული ინსტრუმენტების წარმოებაზე გადასვლა იქ დიდწილად პროვოცირებული იყო ზოლინგენიდან კონკურენტი დანების მწარმოებელთა წარმატებებით. კლასტერი იურიდიულად დამოუკიდებელი იმ საწარმოების ერთობლიობაა, რომელნიც პრაქტიკულად არ ფლობენ საბაზრო ძალაუფლებას; ესაა საწარმოები, რომლებიც ეწევიან შეთანხმებულ და კოორდინირებულ ბიზნესს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კლასტერის მონაწილეების აქტივების საკუთრებაზე კონტროლის უქონლობისას ყალიბდება და მკაცრადაც კონტროლდება საერთო აქტივების მართვა. საწარმოთა აშკარა კლასტერები აგრეთვე იყოფა: რეალურად და ცრულ. რეალურს მიეკუთვნება საწარმოთა კლასტერები, რომელთაც შეუძლიათ რაციონალურად გამოიყენონ შეზღუდული რესურსები. კლასტერში შესვლა ხელს უწყობს რესურსების ალოკაციის ზრდას. ცრუ კლასტერები წარმოდგენილია ვრცელი მრავალფეროვნებით. ზოგჯერ კლასტერებს მიაკუთვნებენ მცირე საწარმოებს, რომლებიც მუშაობს ბაზარზე დომინირებულ ფირმასთან. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს საწარმოთა ჯგუფთან, რომელიც იმყოფება დომინირებული ფირმის ეგრეთ წოდებული “ფასიანი ქოლგის” ქვეშ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში მცირე საწარმოების კლასტერთან. ასეთი წარმონაქმნები დომინირებული ფირმის საბაზრო ძალაუფლების გამცილებლებია და არ შეესაბამება საწარმოთა კლასტერების

ეკონომიკურ ბუნებას. იმის მიხედვით, განაცხადა თუ არა თავის თავზე საწარმოთა კლასტერმა საკანონმდებლო დონეზე, ჩვენ უნდა დავყოთ ისინი აშკარა და გამოუაშკარავებელ საწარმოთა კლასტერებად. საწარმოთა კლასტერები წარმოშობის ხასიათით შეიძლება იყოს სპონტანური ან მიზანმიმართულად შექმნილი. მეორეს ზოგჯერ უწოდებენ ხელოვნურად შექმნილ საწარმოთა კლასტერებს. აშკარა საწარმოთა კლასტერები აგრეთვე იყოფა რეალურად, ანუ ნამდვილად და ცრულ. მაშ ასე, ვემყარებით რა მოყვანილ კლასიფიკაციას, შეიძლება განზოგადებულად გამოვყოთ აშკარა საწარმოთა კლასტერების კლასიფიკაციის შემდეგი კრიტერიუმები. ჯერ ერთი, საწარმოთა კლასტერები შეიძლება განვასხვავოთ საქმიანობის შედეგებით: კლასტერები, რომლებიც აწარმოებენ საქონელს, ანუ საწარმოთა სამრეწველო კლასტერები და კლასტერები, რომლებიც ეწევიან მომსახურებას. მეორე, საწარმოთა სამრეწველო კლასტერები შეიძლება დავყოთ ინდუსტრიულებად, რომლებიც აწარმოებენ ტრადიციულ საქონელს

და ინტელექტუალურებად, ანუ ინოვაციურებად, რომლებიც ისწრაფვიან შექმნან პრინციპულად ახალი გადაწყვეტილება მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მესამე, საწარმოთა ინდუსტრიული კლასტერები შეიძლება დაიყოს დარგობრივი ნიშნით მომპოვებელ და გადამამუშავებელ კლასტერებად.

გამოყოფენ კლასტერის განვითარების სამ მდგომარეობას: სტაბილურს, განვითარებადსა და შემცირებულ საწარმოთა კლასტერს.

- სტაბილურ კლასტერში სამუშაო ადგილების რაოდენობა წლის განმავლობაში უმნიშვნელოდ იცვლება.

- განვითარებად კლასტერში სამუშაო ადგილების რაოდენობა იზრდება.

- შემცირებულ კლასტერში სამუშაო ადგილების რაოდენობა იკვეცება.

მაშ ასე, საწარმოთა კლასტერები სიმწიფის დონისდა მიხედვით იყოფა ერთ შემთხვევაში ავლომერატულ, ავლოცენებად, განვითარებად, მომწიფებულ და ტრანსფორმირებად კლასტერებად. სხვა კრიტერიუმების თანახმად, რომლებშიც გათვალისწინებულია სამუშაო ადგილების რაოდენობის ცვლილება, საწარმოთა კლასტერები იყოფა სტაბილურებად, განვითარებადებად და შემცირებულებად. ეკონომიკურ განვითარებასა და ინოვაციებს შორის არსებობს მკაფიო ურთიერთკავშირი. ქვეყნებს მაღალტექნოლოგიური საწარმოების დიდი შემადგენლით აქვს ბევრად საუკეთესო ეკონომიკური მაჩვენებლები და მოსახლეობის ცხოვრების დონე. ფართო გაგებით, ინოვაციებში გულისხმობენ ბიზნესის ეფექტიანობის და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების საშუალებას.

კანზასის შტატის ინოვაციური კლასტერები მსხვილი დამქირავებლებია. დასაქმების ზრდა, განსაკუთრებით ინოვაციათა სფეროში, „კანზასის ტექნოლოგიურ საწარმოთა კორპორაციების“ პროგრამის ეფექტიანობის შეფასების ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმი

შტატის მთავრობის მიერ. მეოთხე, სამოქალაქო ინსტიტუტების უშუალო როლი უმნიშვნელოა. ინოვაციური კლასტერების განვითარების მართვის სისტემაში არსებობს მკაცრი იერარქია და გავლენის სფეროების განაწილება. შეიძლება დავასკვნათ, რომ „კანზასის ტექნოლოგიურ საწარმოთა კორპორაციების“ ინოვაციური კლასტერების კომპლექსი შტატის ეკონომიკის განვითარების მიზნობრივი პროგრამის პროდუქტია, ეს პროგრამა წარმატებულია და კვლავ ვითარდება, კანზასის შტატში კლასტერების დახმარებით შეიქმნა ეკონომიკის ინოვაციური განვითარების მექანიზმი. ეს გამოცდილება მიზანშეწონილი იქნებოდა გვეცადა ქართულ სინამდვილეში და გამოგვეყენებინა ძალისხმევითა კონსოლიდაციის სფეროში ინოვაციური მცირე მეწარმეობის განვითარების საქმეში.

ლიტერატურა/REFERENCES

1. ბარათაშვილი ე., ჯოლია გ., ბუღია ლ., კომპარატივისტიკული მენეჯმენტი, ჟურნ. „ეკონომიკა“ №10, 2008;
2. ბარათაშვილი ე., ბოლქვაძე ა., საქმიანი კულტურა-შედარებითი მენეჯმენტის საკვანძო ელემენტი. ჟურნალი „ეკონომიკა“ №7. 2013;
3. ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ., ჩეხელაშვილი მ., მარიდაშვილი მ., მახარაშვილი ი., ღამბაშიძე თ., შედარებითი მენეჯმენტი და კლასტერიზაცია, საქართველოს საინჟინრო აკადემია, თბილისი 2016;
4. Porter M., Locatin, Competition and Economic Development: Local Clusters in a Global Economy/ Economic Development Quarterly 14, no. 1, 2000;
5. Литовченко Е. В. Интеграционно-активная стратегия формирования промышленных кластеров/ Вестник Саратовского государственного университета, №36, 2008

MANAGEMENT CONSULTING - PURPOSE AND ACTIVITY
ANALYSIS

ვახტანგ დათაშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

VAKHTANG DATASHVILI

Doctor of Economic Sciences, professor of Georgian Technical University

მაკა ბუღულაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დოქტორანტი

MAKA BUGHULASHBILI

PhD Students of Georgian Technical University

ანოტაცია

ნაშრომში გაშუქებულია მენეჯმენტ კონსალტინგის, როგორც ბიზნესის მხარდაჭერის საინფორმაციო-ანალიტიკური ინფრასტრუქტურული კომპლექსის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილის მიზნები და ამ დარგში მოღვაწე კომპანიების საქმიანობის ანალიზი. ზოგადი სახით კონსალტინგი ისეთი პროფესიული საქმიანობაა, რომელიც ისოტრიულად მენეჯმენტის სფეროს სრულყოფასთან ერთად იხვეწება და ვითარდება და რომლის სუბიექტები ძალიან სასარგებლო და დიდად მნიშვნელოვან მომსახურებას უწევენ საწარმოებსა და ორგანიზაციებს. შერწყმა და შთანთქმა, თანამედროვე საწარმოების ორგანიზება, პრივატიზაციის ჩატარება, კულტურული ცვლილებები, ექსპორტის განვითარება, საერთაშორისო ვაჭრობისა და ფინანსური ოპერაციების ახალი ფორმები, ეკონომიკის განვითარების მასშტაბური პროექტები, საქმიანი კავშირების, ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბებით ბიზნესის მარეგულირებელი ახალი კანონები და შეთანხმებები ბიზნესითა და მართვით დაკავებულ პროფესიონალთა საქმიანობის ფართო სივრცეს ქმნის.

საკვანძო სიტყვები: მენეჯმენტი, კონსალტინგი, ბიზნესი, საინფორმაციო-ანალიტიკური, ინფრასტრუქტურა, სტრატეგია.

Abstract

Historically, management consulting grew with the rise of management. Nowadays with the knowledge democratized and more and more information available for everybody the role of management consulting is growing. Applying for management consulting services is increasing trend among companies which try to solve existing organizational problems through getting deep, functional expertise and feasible recommendations in the form of strategy consulting, operational consulting, marketing consulting, financial consulting and so on. Therefore management consulting is considered as one of the most rapidly grown interesting, intellectually stimulating and financially rewarding work available in the professional services market.

Management consulting includes a wide range of activities and most management consulting firms define their practices in different manner, either according to professional area of expertise, such as competitive analysis, corporate strategy, operations management, or human resources, or they view the process as the sequence of phases like entry, contracting, diagnosis, data collection, feedback, implementation, or according consulting purposes.

The aim of this article is to clarify and analyze fundamental purposes of management consulting, because when there is clarity about the activities and the purpose both parties the consulting service provider and the company which needs these kind of service are more likely to be involved in the engagement process more satisfactory.

Key words: management consulting, purpose, strategy, diagnosis, data collection, process.

შესავალი

„კონსალტინგის“ ცნების განმარტების მიმართ ორ ძირითად მიდგომა არსებობს. პირველი ეყრდნობა ფუნქციონალურ შეხედულებას კონსულტირებაზე. ამის მაგალითია ფრიც სტეელეს შემდეგი განმარტება: „კონსულტირების პროცესად მე მიმანია ნებისმიერი ფორმის დახმარების გაწევა ამოცანის ან ამოცანათა სერიის შინაარსთან, პროცესთან ან სტრუქტურასთან დაკავშირებით, რომლის დროსაც კონსულტანტი თვითონ პასუხს არ აგებს ამოცანის შესრულებაზე, მაგრამ ეხმარება მათ, ვინც პასუხისმგებელია“. მეორე მიდგომა კონსალტინგს განიხილავს განსაკუთრებულ პროფესიულ სამსახურად და გამოყოფს იმ მთელ რიგ მახასიათებლებს, რომლებიც ამ სამსახურს უნდა გააჩნდეს. ლერი გრეინერის და რობერტ მეტცგერის განმარტების თანახმად, „მმართველობითი კონსულტირება ის საკონსულტაციო სამსახურია, რომელიც კონტრაქტით მუშაობს და ორგანიზაციებს უწევს მომსახურებას სპეციალურად მომზადებული და კვალიფიციური პირების მეშვეობით. შემკვეთ ორგანიზაციას ისინი ეხმარებიან მმართველობითი პრობლემების გამოვლენასა და გაანალიზებაში, რეკომენდაციებს აძლევენ მათ ამ პრობლემების მოსაგვარებლად და საჭიროების შემთხვევაში გადაწყვეტილებათა შესრულებაშიც მონაწილეობენ“. ეს ორი მიდგომა ავსებს ერთმანეთს.

ევროპის ეკონომიკისა და მართვის დარგის კონსულტანტთა ასოციაციების ფედერაცია (FEACO) შემდეგ განმარტებას იძლევა: „მენეჯმენტ-კონსალტინგი მდგომარეობს მართვის საკითხებში დამოუკიდებელი რჩევების მიცემასა და დახმარების გაწევაში, რომელიც მოიცავს პრობლემისა და (ან) შესაძლებლობათა დადგენასა და შეფასებას, შესაბამის ღონისძიებათა შეთავაზებას და მათ რეალიზებაში დახმარებას“. ამავე განმარტებას იყენებენ ამერიკის ეკონომიკისა და მართვის სფეროს კონსულტანტთა ასოციაცია „ACME“ და მენეჯმენტ-კონსალტინგის ინსტიტუტი „IMC“.

ზოგჯერ კონსალტინგს საინფორმაციო ბიზნესის ერთ-ერთ მიმართულებას მიაკუთვნებენ. ეს თვალსაზრისი იმას ეფუძნება, რომ კლიენტის კონსულტირების პროცესს ყოველთვის თან ახლავს მისთვის იმ ინფორმაციის გადაცემა, რომელიც გავლენას ახდენს მისი თვალსაზრისის ფორმირებაზე და მის მიერ მმართველურ გადაწყვეტილებათა მიღებაზე. თუმცა, იმ საგანმანათლებლო და სარეკლამო საქმიანობის საპირისპიროდ, რომელიც კლიენტის მიერ ამა თუ იმ მოვლენის შესახებ ობიექტური ან ობიექტივირებული მონაცემების გაცნობას ეყრდნობა, კონსალტინგი ისეთ მომსახურებადაც გვევლინება, რომელიც უშუალოდ მოქმედებს კლიენტის გარკვეული პოზიციის მიზნისა და ქმედების ფორმირებაზე. არსებითად, კონსალტინგი შეგვი-

ძლია განვიხილოთ როგორც კლიენტის მენეჯერული საქმიანობის ელემენტი მისი მენეჯერული გადაწყვეტილებების მომზადებისა და დასაბუთების ნაწილში, რომელსაც თვითონ იგი კი არ ახორციელებს უშუალოდ, არამედ სპეციალიზებული საკონსულტაციო-სამეწარმეო ფორმა.

კონსალტინგის სახეობები და თანამედროვე ტენდენციები

მენეჯერული კონსალტინგის განმარტების სფეროში არსებული არაერთგვაროვნება მისი კლასიფიკაციის სფეროში არსებულ გაურკვევლობას იწვევს. დღეს ჩვენ მრავალ განსხვავებულ მიდგომას შეიძლება გადავაწყდეთ საკონსულტაციო მომსახურების კლასიფიკაციის მიმართ.

არსებობს კონსალტინგური მომსახურების კლასიფიკაციის ორი ძირითადი სახე:

- 1) კონსულტირების საგნის თვალსაზრისით - საგნობრივი კლასიფიკაცია;
- 2) კონსულტირების მეთოდის თვალსაზრისით - მეთოდოლოგიური კლასიფიკაცია.

უფრო გავრცელებულია საგნობრივი კლასიფიკაცია, რადგანაც იგი უფრო გასაგებია კონსალტინგური მომსახურების მომხმარებლებისთვის. ამ კლასიფიკაციის თანახმად, კონსალტინგური მომსახურება მენეჯმენტის იმ განყოფილებებზე დამოკიდებულებით კვალიფიცირდება, რომლებზეც ეს მომსახურებაა მიმართული: საერთო მართვა, მარკეტინგი, პერსონალის მართვა, ფინანსების მართვა და ა.შ.

რაც შეეხება მეთოდოლოგიურ კლასიფიკაციას, იგი პროფესიულად ორიენტირებულია თვითონ კონსულტანტებზე, რადგანაც ახდენს მუშაობის მეთოდებზე დამოკიდებულებით მათ კვალიფიცირებას. ამ კლასიფიკაციის თანახმად, ერთმანეთისგან განასხვავებენ ექსპერტულ ანუ ნორმატულ, რესურსულ, პროცესულ და შემსწავლელ კონსულტირებას.

ექსპერტული კონსულტირების ფარგლებში კლიენტი ინფორმაციას აწვდის კონსულტანტს, აკონტროლებს მის საქმიანობას, ითვისებს მის რეკომენდაციებს და იღებს შესაბამის მმართველურ გადაწყვეტილებებს. კლიენტი განსაზღვრავს პრობლემის არსსა და შინაარსს და სწორ ინფორმაციას იძლევა მის შესახებ. სპეციალისტის კონსულტაცია პრობლემის შინაარსზეა ორიენტირებული. მისი მოგვარების ტვირთს კლიენტი დროებით გადასცემს სპეციალისტს და დროს ითავისუფლებს ორგანიზაციის სხვა ამოცანების გადასატრედად. კონსულტანტის როლია კლიენტისთვის მზა გადაწყვეტილების გადაცემა კომენტარებისა და დასაბუთების გარეშე. პროცესული კონსულტირების დროს კლიენტი ყოველივე ზემოხსენებულის გარდა, მონაწილეობას ღებულობს რეკომენდაციების შემუშავებაში. იგი აფიქსირებს, რომ პრობლემის არსის და შინაარსის განსაზღვრა რთული საქმეა და მზადაა კონსულტანტს მონაწილეობა სთხოვოს არა მარტო პრობლემის გამოკვეთაში, არამედ მისი გადაწყვეტის პროცესშიც. პროცესზე გაწეული კონსულ-

ტაცია იმაზეა ორიენტირებული, რომ ჯერ პრობლემის გამოვლენაში დაეხმაროს კლიენტს, შემდეგ - იმ სიტუაციების არსის გარკვევაში, რომლებიც ინოვაციურ ცვლილებათა პროცესთან და პრობლემის შინაარსთანაა დაკავშირებული, ბოლოს კი - იყოს მათი გადაწყვეტის თანამონაწილე. თავდაპირველად კლიენტი თვითონ ირჩევს პრობლემების გადაწყვეტის ალგორითმებს და პრაქტიკულ საქმიანობაში იყენებს მათ. მის მიერ პრობლემების გადაჭრის უნარი მოიმატებს კონსულტანტის მეთოდოლოგიური მიდგომების გაცნობის შემდეგ. პროცესის კუთხით კონსულტანტის როლია პრობლემების გადაწყვეტის პროცესში თანამონაწილეობა და არა მათი შინაარსის განსაზღვრა.

შემსწავლელი კონსულტირების დროს კლიენტის პერსონალი დამატებით დროს ხარჯავს სწავლებაზე. ამ შემთხვევაში სპეციალისტის კონსულტაცია მთლიანადაა ორიენტირებული პრობლემის შინაარსსა და კლიენტის სწავლებაზე. ამოცანის გადაწყვეტის ტვირთს კლიენტი სპეციალისტს გადასცემს და მონაწილეობას დასრულებს მისი გადაწყვეტის ხერხების გამოვლენაში. კონსულტანტის როლია კლიენტისთვის მზად გადაწყვეტილების გადაცემა კომენტარებითა და ახსნა-განმარტებებით, აგრეთვე, მისთვის პრობლემის გადაწყვეტის მეთოდიკური მიდგომების მიწოდება.

ამასთან ერთად, კონკრეტულ პროექტებში ან მათ სხვადასხვა სტადიაზე შესაძლოა იყენებდნენ კონსულტირების ყველა ჩამოთვლილი სახის კომბინაციას და მაშინ იგი ხდება ექსპერტულ-პროცესული, პროცესულ-შემსწავლელი, ექსპერტულ-შემსწავლელი და ა.შ.

დასავლეთის ქვეყნებში უპირატესად პროცესულ და ექსპერტულ-პროცესულ კონსულტირებას ეწევიან, საქართველოში კი ყველაზე უფრო გავრცელებული ექსპერტული და ექსპერტულ-შემსწავლელი კონსულტირება.

იმ სტრუქტურულმა ცვლილებებმა, რომლებიც ბოლო ათწლეულებში განიცადეს საქართველოში მოქმედმა კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციებმა, დიდი გავლენა იქონიეს მომსახურების გამწვევ ორგანიზაციებზე. ცვლილებათა დაჩქარებისა და გართულების კვალობაზე სულ უფრო მეტი მოთხოვნაა იურისტების, ბუღალტრების, ინვესტიციური ბანკირების, მართვის დარგის კონსულტანტების მომსახურებაზე. შერწყმა და შთანთქმა, თანამედროვე საწარმოების ორგანიზება, პრივატიზაციის ჩატარება, კულტურული ცვლილებები, ექსპორტის განვითარება, საერთაშორისო ვაჭრობისა და ფინანსური ოპერაციების ახალი ფორმები, ეკონომიკის განვითარების მასშტაბური პროექტები, საქმიანი კავშირების, ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბებით ბიზნესის მარეგულირებელი ახალი კანონები და შეთანხმებები ბიზნესითა და მართვით დაკავებულ პროფესიონალებსა საქმიანობის ფართო სივრცეს ქმნის.

საქმიანი ოპერაციებისა და სტრუქტურული ცვლილებების უმრავლესობა ვერ თავსდება ერთი რომელიმე პროფესიის მომსახურების სფეროში. ისინი მოიცავენ საკანონმდებლო, საფინანსო, საბუღალტრო, საორგანიზაციო, მმართველობით და სხვა ასპექტებს, თუმცა, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში რომელიმე ერთი მათგანის უპირატეს მნიშვნელობაზე შეიძლება ვისაუბროთ. დამოუკიდებლად მოქმედ ყველა პროფესიაში აუცილებელია მაღალი კვალიფიკაცია და თვალსაწიერი, სხვა პროფესიებისა და მომსახურების განვითარების პერსპექტივების კარგად ცოდნა.

ასეთ ვითარებაში იზრდება და ვითარდება კონსულტირება მართვის სფეროში. იგი ურთიერთქმედებს საქმიანობის სხვა სახეებთან, კონკურენტულ და პარტნიორულ ურთიერთობებს ამყარებს მათთან. ამას ადასტურებს იმ მმართველობითი მომსახურების სწრაფად ზრდა, რომელსაც საერთაშორისო აუდიტორული ფირმები და კომპანიები ეწევიან. ოც წელზე ნაკლები ხნის მანძილზე ამ ფირმებმა ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის დარგში ლიდერის პოზიციების განმტკიცებასთან ერთად მოახერხეს მსოფლიო ლიდერებად გადაქცევა კონსულტირების სხვა მიმართულებებშიაც.

მწვავე საკონკურენტო ბრძოლა დღეს პროფესიული მომსახურების ბაზრის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია. კონკურენციაა როგორც დარგის შიგნით, ისე დარგებს შორისაც. პროფესიული მომსახურების ახალი ბაზრის გაჩენისთანავე სხვადასხვა მიმართულების ფირმები მას სწორედ საქმიანობის საკუთარ სფეროში შემავალად აცხადებენ. ასე მოხდა, მაგალითად, პრივატიზაციასთან დაკავშირებით, როდესაც წამყვანი პოზიციების დასაკავებლად და გავლენის სფეროს გასაფართოებლად ბაზარზე ერთმანეთს ებრძოდნენ აუდიტორული ფირმები, საინვესტიციო ბანკები, მართვის სფეროს საკონსულტაციო ფირმები და იურიდიული კომპანიები. ყველაზე უფრო გავრცელებული აზრით, ფირმას შეუძლია ჩამოაყალიბოს ახალი მიმართულება, რომელიც ტექნიკური თვალსაზრისით სრულიად განსხვავებული სპეციალიზაციის მქონე საწარმოთა კომპლექსების სფეროში შედის.

მართვის სფეროში კონსულტაციების გამწვევ ფირმებს შეიძლება ჰქონდეთ ისეთი ქვედანაყოფები, რომლებიც კონსულტაციებს ეწევიან დაბეგვრის საკითხებზე, კომპიუტერულ ფირმას კი საკონსულტაციო მომსახურება შეუძლია მართვის სფეროში. ამგვარად, ფირმა მრავალპროფილური ხდება. თუ საკანონმდებლო წინააღმდეგობები ან სხვა ისეთი შეზღუდვები ჩნდება, რომლებიც არ იძლევა ერთი ფირმის ფარგლებში გარკვეული მომსახურების აღმოჩენის ნებართვას, იქმნება შვილობილი საწარმო ან ფილიალი, რომელიც სწორედ ამ სახის მომსახურებას განახორციელებს.

სადავო საკითხებში საკონკურენტო ბრძოლას ღია ხასიათი აქვს. მაგალითად, ბევრ ქვეყ-

ნაში ბიზნესის შეფასება არ გვევლინება პროფესიული მომსახურების გარკვეული დარგის პრეზერვაციად. მართვის სფეროს კონსულტანტებს ამ დარგში უპირატესობა აქვთ: მწარმოებელი საწარმოს მომავალი შემოსავლების შეფასება გულისხმობს მოთხოვნისა და იმ ტენდენციების გაანალიზების უნარს, რომლებიც კონკრეტულ დარგში არსებობს; ტექნოლოგიების სიმწიფის დონის, არსებული ნედლეულის ბაზის, ადგილობრივი და უცხოელი კონკურენტების, შრომის ხარისხისა და ღირებულების ანალიზის უნარს და ა.შ. თუმცა, ბიზნესის შეფასების მომსახურებას აუდიტორული ფირმები და საინვესტიციო ბანკებიც ეწვეიან და ამ დროს ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ასპექტებზე აკეთებენ აქცენტს. გარდა ამისა, არსებობენ საკუთრების, უძრავი ქონებისა და ბიზნესის შეფასების საკითხთა დამოუკიდებელი ექსპერტებიც. ამგვარად, ერთი და იმავე მომხმარებლისთვის სხვადასხვა სპეციალისტის რამდენიმე კომპანია იბრძვის.

მნიშვნელოვან ტენდენციად ჩამოყალიბდა პროფესიული მომსახურების სხვადასხვა სახეზე დასპეციალებული კომპანიების თანამშრომლობა. შემკვეთებს ხელს არ აძლევს განსხვავებული სპეციალისტის მქონე საკონსულტაციო ფირმებს შორის კონფლიქტების გაჩენა და პროფესიული საზღვრების მკაფიოდ დაცვა. ნებისმიერი კომპანიისთვის აუცილებელია, რომ მისი როგორც კლიენტის ინტერესები შემსრულებელთა ინტერესებზე მაღლა იდგეს. ამიტომაც საჭირო ხდება კოორდინირებული და ინტეგრირებული მომსახურებაც კი, რაც გულისხმობს შემკვეთის პრობლემების პროფესიულად მოგვარებას და ამ პრობლემის ყველა ასპექტს მოიცავს.

იმ შემთხვევაში, თუ საკონსულტაციო ფირმის საკუთარი რესურსები საკმარისი არაა კლიენტისთვის ამა თუ იმ მომსახურების გასაწევად, გამოსავალი შეიძლება იყოს საჭირო დარგში დასპეციალებულ კომპანიებთან თანამშრომლობა. მართვის დარგში კონსულტაციების გამწვევი ფირმები იურიდიულ ფირმებთან თანამშრომლობენ. უფრო ხშირად ამის ინიციატორები იურიდიული ფირმებია, რადგანაც მათ არც თუ იშვიათად ჭირდებათ კონსულტაციები მართვის ან ფინანსების საკითხებში. იურისტები მართვის სფეროს იმ კონსულტანტებს მიმართავენ, რომლებიც შესაძლოა უკვე მუშაობენ იმავე კლიენტთან. თუმცა, მართვის დარგის კონსულტანტსაც შეიძლება გაუჩნდეს იურიდიული კონსულტაციის მოთხოვნილება და იურისტი მოიწვიოს ერთიანი შეკვეთის შესრულებაში მონაწილეობისათვის, გამოიყენოს თავისივე იურიდიული განყოფილების მომსახურება ან შესთავაზოს შემკვეთს, რომ მან სხვა იურიდიულ კონსულტაციას მიმართოს.

საკონსულტაციო მომსახურება მჭიდრო კავშირშია აუდიტორულთან. აუდიტორები თავიანთ აზრს გამოთქვამენ ორგანიზაციასთან, ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ან-

ставлена предприятиями, специализирующимися на добыче, выращивании, обработке рыбы. Имеющиеся предприятия, осуществляющие два вида деятельности с преобладанием одного вида. Отрасль объединяет также ряд предприятий и организаций, которые играют роль вспомогательных, обслуживающих и подсобных.

Как показывают исследования, Украина раньше не входила и сейчас не входит в число мировых лидеров в сфере искусственного товарного выращивания рыбы.

В Украине объемы отечественного вылова водных биоресурсов сократились в 5 раз. Это информационные данные за последние 20 лет. Если проанализировать абсолютные значения, то снижение объемов вылова в промышленном рыболовстве и аквакультуре составило за этот же период времени примерно 3,5 раза.

Сокращение объемов вылова водных биоресурсов естественного происхождения произошло за последние 10-15 лет во многих странах мира. В отношении аквакультуры, то ситуация в мире изменилась в направлении увеличения, а в Украине – еще большего уменьшения объемов вылова в водоемах.

В Украине были разработаны и приняты национальные программы развития отрасли [4].

На реализацию утвержденной Постановлением Кабинета Министров Украины «Государственной целевой экономической программы развития рыбного хозяйства на 2012-2016 годы» от 23.11.2011 № 1245 предусмотрено выделить из государственного бюджета 1671,7 млн грн. Из них на строительство, модернизацию и обеспечение функционирования предприятий аквакультуры, формирования племенной базы для совершенствования качества ее объектов, строительство рыбопитомников – 587,8 млн грн.

Как показывают расчеты, за последние 10 лет объемы бюджетных ассигнований, направленных на финансирование деятельности нерестово-выростных рыбных хозяйств, рыбопитомников, питомников растительных рыб, рыбоводных заводов частиковых рыб, осетровых и форелевых заводов постепенно выросли от 33,9 млн грн (включая расходы на

регулирование рыболовства) до 116,4 млн грн в год. Действующая система бюджетного финансирования рыбного хозяйства в настоящее время существенно усовершенствована. Ранее расходы из государственного бюджета осуществляли по одной статье расходов на воспроизводство и охрану водных живых ресурсов и регулирования рыболовства. На сегодня есть отдельные статьи для организации деятельности органов рыбоохраны и воспроизводства.

Поэтому имеем все основания сделать следующие выводы:

1. Чтобы достичь повышения конкурентоспособности производства продукции аквакультуры, необходимо создать условия для эффективного действия Закона Украины «О рыбном хозяйстве, промышленном рыболовстве и охране водных биоресурсов». Также бесспорно достичь исполнения задач, поставленных действующей и разработанной с учетом предложений и рекомендаций автора «Государственной целевой экономической программы развития рыбного хозяйства на 2012–2016 годы». Это даст возможность ускорить процесс привлечения эффективного собственника на предприятия отрасли и создать необходимые механизмы для внутренних и внешних инвесторов.

2. Для усовершенствования методологического инструментария регулирования экономической деятельности, необходимо доработать методику учета рыбы на всех стадиях развития для определения совокупного предложения и методику определения справедливой стоимости материала для разведения аквакультуры и товарной рыбы с учетом цен активного рынка.

3. Обобщить методические подходы к формированию конкурентоспособной системы регулирования аграрного сектора на уровне международных стандартов и научно обосновать сбалансированное распределение функций, полномочий и ответственности между органами регулирования в сфере рыбного хозяйства для достижения системности и результативности экономических процессов.

ЛИТЕРАТУРА/REFERENCES

1. Hersoug, B., Allison, E.H., 2010. Not by rent alone: analyzing the pro-poor functions of small-scale fisheries in developing countries. *Dev. Policy Rev.* 28, 325–358.
2. Ezzati, M., Riboli, E., 2013. Behavioral and dietary risk factors for noncommunicable diseases. *N. Eng. J. Med.* 369, 954–964.
3. FAO, 2015. *Voluntary Guidelines for Securing Sustainable Small-Scale Fisheries in the Context of Food Security and Poverty Eradication.* Food and Agriculture Organization, Rome, Italy.
4. Вдовенко Н.М. Государственное регулирование развития аквакультуры в Украине: Монография / Н.М. Вдовенко. – К. : Кондор-Издательство, 2013. – 464 с.
5. Fish to 2030: the role and opportunity for aquaculture. *Aquaculture Econ. Manage.* 19, 282–300.

ბუღალტრის პროფესიის სამართლებრივი ასპექტები

SOME ASPECTS OF THE LEGAL FRAMEWORK OF THE ACCOUNTING PROFESSION

ნაზი გვარამია

ეკონომიკის დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

NAZI GVARAMIA

PhD in Economics, Associate Professor of Sokhumi State University

ანოტაცია

ნაშრომში შესწავლილია ბუღალტრის პროფესიული აღიარების მსოფლიო პრაქტიკა და წარმოდგენილია საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (ბაფ) მიერ ჩატარებული კვლევა ჩეხეთის რესპუბლიკაში 2005 წელს ევროკავშირის დაფინანსებით განხორციელებული პროექტის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავდა ბუღალტრის პროფესიის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის ანალიზს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. შესაბამისად, პროფესიონალი ბუღალტრების ეროვნული საკვალიფიკაციო მოთხოვნების გამოკვლევა ჩატარდა ხუთ განვითარებულ და შვიდ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანაში. ნაშრომში ასევე მოცემულია აუდიტის სფეროში არსებული მიდგომები, მათ შორის აუდიტორულ საქმიანობაზე საჯარო ზედამხედველობის არსებული მსოფლიო სისტემები და შესაბამისად სამართლებრივი ასპექტები, რომლითაც რეგულირდება თანამედროვე ეტაპზე საქართველოში საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტორული საქმიანობა.

დასკვნით ნაწილში ავტორთა მიერ მოცემულია შესაბამისი სარეკომენდაციო ხასიათის წინადადებები ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში პროფესიული აღიარების საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და გამოყენების მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: აღრიცხვა, აუდიტი, სტანდარტი, რეგულირება

Abstract

Key questions of accounting and audit regulations, exists in Georgia nowadays and correspondingly, legal changes, executed towards the above said direction is given in this scientific thesis. The task of this thesis is to present the audit role and possibility of accounting in modern management system, and it is not covered only by the registration of economical operations, but it is also the necessary instrument of financial information, linking ring among the economical activity and the entities, who make the decisions, which have the great meaning in functioning of economical subjects in order to make correct management discussions.

Practical realization of a problem, made in our country was done by the Georgian professional accountants and audit federation (BUF), which was created in April 1998 on the result of confluence of Georgian accountant club and Georgian accountant association. On the way of accounting activity's improvement, important step was taken by the mutual force of Georgian professional accountants and audit's federation and USA international development agency (USAID), which has the law "about accounting and calculation", adopted by the parliament, by which, the Joint stock companies, from January 1, 2000, Limited liability companies and cooperatives are making the accounting and calculations from January 1, 2011 in compliance with the international accounting standards.

Due to it, the aim of this research is to represent the experience, existed in the sphere of accounting and audit of Georgia, criteria of accounting professional acknowledgment and correspondingly on the base of legal bases of changes, executed on the modern stage.

World known practice of accounting activity reveals, that role of international accounting standards and the meaning, is gradually increased and it is said by increasing of world economical globalization, which means the participation of world's capital in separate countries' economy. Follow from this, interested investors, creditors and etc. need timely and hopeful information in return for the invested capital about get a possible economical profit, getting of such information is not possible without foreseeing of international standards principles of accountant in national calculation system..

For nowadays, sharing of international experience in accounting is very urgent and correspondingly its introduction in accounting and calculation sphere. Follow from this, world known concepts, settled in the modern accounting and audit sphere is discussed in this scientific research, including, the experience of European countries and USA towards the above-mentioned direction.

Key words: Accounting, Auditing, Standards, Regulation.

საადრიცხვო საქმიანობის მსოფლიო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების როლი და მნიშვნელობა თანდათანობით იზრდება და იგი ნაკარნახევია მსოფლიო ეკონომიკური გლობალიზაციის მასშტაბების ზრდით, რაც შესაბამისად გულისხმობს მსოფლიო კაპიტალის მონაწილეობას ცალკეული ქვეყნების ეკონომიკაში. აქედან გამომდინარე, დაინტერესებულ ინვესტორებს, კრედიტორებს და ა. შ. სჭირდებათ დროული და საიმედო ინფორმაცია დაბანდებული კაპიტალის სანაცვლოდ შესაძლო ეკონომიკური სარგებლის მიღების შესახებ. ასეთი ინფორმაციის მიღება კი შეუძლებელია ეროვნულ საადრიცხვო სისტემაში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების პრინციპების გათვალისწინების გარეშე.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოში აქტუალურია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და შესაბამისად მისი დანერგვა ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში. აქედან გამომდინარე, სამეცნიერო ნაშრომში განვიხილავთ ბუღალტრის პროფესიული აღიარების საერთაშორისო პრაქტიკას რამდენიმე ქვეყნის მაგალითზე.

პროფესიული აღიარების სფეროში მსოფლიოში არსებულ მიდგომებსა და ჩვენს ქვეყანაში ჩამოყალიბებულ სისტემებს შორის პარალელის გასაღებად, საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ გაკეთდა მომხილვა ჩეხეთის რესპუბლიკაში 2005 წელს, ევროკავშირის დაფინანსებით განხორციელებული პროექტის საფუძველზე. პროექტის მიზანი იყო ბუღალტრის პროფესიის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის ანალიზი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. პროექტის ფარგლებში ჩატარდა პროფესიონალი ბუღალტრების ეროვნული საკვალიფიკაციო მოთხოვნების გამოკვლევა ხუთ განვითარებულ და შეიქმნა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანაში. გამოკვლევისათვის შერჩეული იყო:

განვითარებული ქვეყნები:

- ❖ დანია - ფინანსური ზედამხედველობის საბჭო;
- ❖ ირლანდია - ნაფიც ბუღალტერთა ირლანდიის ინსტიტუტი;
- ❖ სამხრეთ აფრიკა - სამხრეთ აფრიკის ნაფიც ბუღალტერთა ინსტიტუტი და საზოგადოებრივ ბუღალტერთა და აუდიტორთა საბჭო;
- ❖ გაერთიანებული სამეფო - ნაფიც სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ასოციაცია (ACCA);
- ❖ ამერიკის შეერთებული შტატები - ნაფიც საზოგადოებრივ ბუღალტერთა ამერიკის ინსტიტუტი (AICPA).

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები:

- ❖ უნგრეთი - უნგრეთის აუდიტორთა პალატა;

- ❖ პოლონეთი - პოლონეთის აუდიტორთა პალატა;
- ❖ რუმინეთი - რუმინეთის აუდიტორთა პალატა;
- ❖ რუსეთი - რუსეთის აუდიტორთა პალატა;
- ❖ თურქეთი - თურქეთის სერტიფიცირებულ საზოგადოებრივ ბუღალტერთა კავშირი;
- ❖ ჩეხეთი - ჩეხეთის აუდიტორთა პალატა; ჩეხეთის ბუღალტერთა კავშირი;
- ❖ სლოვაკეთი - სლოვაკეთის აუდიტორთა პალატა.

ჩატარებული კვლევის შედეგად გაკეთდა ანალიზი, თუ რამდენად პასუხობს გამოკვლეული ორგანიზაციების განათლების სტანდარტები ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მოთხოვნებს პროფესიონალი ბუღალტრების განათლებისადმი.

გამოკვლევამ გამოავლინა, რომ მსოფლიოში არსებული პროფესიული ორგანიზაციები იცავენ განათლების სფეროში ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის სტანდარტების უმრავლესობას, მაგრამ ამავე დროს პროფესიულ ორგანიზაციებს უწევთ გარკვეული სამუშაოების ჩატარება ყველა მათგანის შესასრულებლად.

განვითარებულ ქვეყნებში სურათი ასეთია:

დანია - პროფესიას წარმოადგენს ორი ორგანიზაცია: სახელმწიფო სექტორის საზოგადოებრივ ბუღალტერთა ინსტიტუტი და რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ბუღალტერთა ინსტიტუტი. ყველა ლიცენზირებულ სახელმწიფო საზოგადოებრივ ბუღალტერსა და რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ბუღალტერს შეუძლია გახდეს შესაბამისი ორგანიზაციის წევრი. ფაქტობრივად, ყველა ლიცენზირებული ბუღალტერი ამ ორგანიზაციების წევრია. ფინანსური ზედამხედველობის საბჭო აკმაყოფილებს ბსფის ყველა სტანდარტს გარდა უწყვეტი პროფესიული ზრდის სტანდარტისა, რომელზეც უნდა განხორციელდეს მუშაობა.

ირლანდია - ირლანდიის ნაფიც ბუღალტერთა ინსტიტუტი აწესებს საკუთარ განათლების სტანდარტებს და ამავდროულად, უწყვეტი პროფესიული ზრდის დონე და ხასიათი განიხილება ბსფ-ის უწყვეტი პროფესიული ზრდის სტანდარტის ფონზე.

სამხრეთ აფრიკა - ქვეყანაში აუდიტისა და საზოგადოებრივი ბუღალტრის საქმიანობა კანონმდებლობით რეგულირდება. ბუღალტერთა ორგანიზაციის წევრს, რომელსაც სურს დაკავებული იყოს საზოგადოებრივი პრაქტიკით ან ჩაატაროს აუდიტი, მოეთხოვება რეგისტრაცია კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილ ორგანოში, საზოგადოებრივ ბუღალტერთა და აუდიტორთა საბჭოში და ამ საბჭოს მიერ გამოცემული წესებისა და მარეგულირებელი ნორმატივების დაცვა.

გაერთიანებული სამეფო - ისტორიულად,

ბუღალტრის პროფესიის რეგულირებაში განსაკუთრებით დიდი როლი უკავიათ პროფესიულ ორგანიზაციებს, რომლებიც თავად ასრულებენ ყველა ფუნქციას და ამის გამო, გაერთიანებულ სამეფოში ბუღალტრის პროფესია ტრადიციულად მიიჩნევა მაღალი დონის თვითრეგულირებად პროფესიად, სადაც რეგულირების პროცესში უმნიშვნელოდ, ან საერთოდ არ მონაწილეობს მთავრობა და სხვა გარეშე ორგანოები ან ორგანიზაციები. ბუღალტრებს პროფესიონალი ბუღალტრის კვალიფიკაცია ენიჭებათ მას შემდეგ, რაც გახდებიან რომელიმე პროფესიული ორგანიზაციის წევრები. ნაფიც სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ასოციაცია (ACCA) ადგენს თავის საკუთარ განათლების სტანდარტებს. (ACCA) ამჟამად ხელახლა იხილავს თავისი უწყვეტი პროფესიული ზრდის მოთხოვნებს და იგი სავალდებულო გახდება ყველა წევრისათვის.

აშშ - არ არსებობს პროფესიის ერთიანი მარეგულირებელი სტრუქტურა. აქ მარეგულირებელ პროცესში ჩართულია სხვადასხვა ორგანო და ორგანიზაცია. ამერიკის სერტიფიცირებულ საზოგადოებრივ ბუღალტერთა ინსტიტუტი წარმოადგენს აშშ-ის პროფესიონალ ბუღალტერთა გაერთიანებას. ინსტიტუტი ატარებს უნიფიცირებულ გამოცდას შტატების საბჭოების სახელით. იმისათვის, რომ გახდეს ამ ინსტიტუტის წევრი, კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- ❖ მას უნდა ჰქონდეს რომელიმე რეგიონალური შტატის მიერ გაცემული სერტიფიცირებული საზოგადოებრივი ბუღალტრის მოქმედი სერტიფიკატი;

- ❖ ჩაბარებული უნდა ჰქონდეს სერტიფიცირებული საზოგადოებრივი ბუღალტრის უნიფიცირებული გამოცდა;

- ❖ საზოგადოებრივ პრაქტიკას უნდა ეწეოდეს კომპანიაში, რომელიც რეგისტრირებულია სერტიფიცირებულ საზოგადოებრივ ბუღალტერთა ინსტიტუტის მონიტორინგის პროგრამებში;

- ❖ თანხმობას უნდა აცხადებდეს, რომ დაიცავს ინსტიტუტის წესდებას, დადგენილებებს და პროფესიული ეთიკის კოდექსს.

სერტიფიცირებულ საზოგადოებრივ ბუღალტერთა ამერიკის ინსტიტუტის კვალიფიკაციის მოთხოვნები გარკვეულწილად არ შეესაბამება ბსფ-ის სტანდარტებს, კერძოდ, პროფესიაში შესვლისა და ზოგადი განათლების მოთხოვნებში.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში პროფესიონალი ბუღალტრების განათლებისადმი მიდგომები ასეთია:

- ❖ **უნგრეთი** - აუდიტორთა პალატაზე იურიდიულ ზედამხედველობას ახორციელებს ფინანსთა სამინისტრო, ასევე საზედამხედველო

ორგანო. უნგრეთის აუდიტორთა პალატის კანონი მოითხოვს, რომ პალატამ ორგანიზება გაუკეთოს აუდიტორთა განათლებასა და კვალიფიკაციას. ბსფ-ის სტანდარტების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, უწყვეტი პროფესიული ზრდის საათების რაოდენობა აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს ბსფ-ის სტანდარტს.

- ❖ პოლონეთი - აუდიტორთა პალატა აღიარებულია მარეგულირებელ და დისციპლინარულ ორგანოდ.

- ❖ რუმინეთი - აუდიტორთა პალატის კვალიფიკაცია ეყრდნობა მთავრობის ბრძანებულებას, პალატა შექმნა ფინანსთა სამინისტრომ და აუდიტორთა პალატის მოთხოვნები შესაბამისობაშია ბსფ-ის სტანდარტებთან.

- ❖ რუსეთი - აუდიტორთა პალატის კვალიფიკაცია ეყრდნობა ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნებს და ბუღალტერთა სერტიფიცირებას ახორციელებს რამდენიმე პროფესიული ორგანიზაცია, თუმცა კანონმდებლობით იგი სავალდებულო არ არის. მოთხოვნები აუდიტორთა პალატისადმი ძირითადად შესაბამისობაშია ბსფ-ის სტანდარტებთან, თუმცა უწყვეტი პროფესიული ზრდის სფერო არ პასუხობს ბსფ-ის მოთხოვნებს.

თურქეთი - კანონი დამოუკიდებელი ბუღალტრისა და სერტიფიცირებული საზოგადოებრივი ბუღალტრის შესახებ (1989წ.) განსაზღვრავს, ვინ ეწევა ამ სფეროში მომსახურებას, როგორც პროფესიონალი. მოთხოვნები შესაბამისობაშია ბსფ-ის სტანდარტებთან.

- ❖ ჩეხეთის რესპუბლიკა - ქვეყანაში, ისევე როგორ აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში არსებობს პროფესიული ორგანიზაციები როგორც ბუღალტრებისათვის, ასევე აუდიტორებისათვის ცალ-ცალკე. ბსფ-ის მოთხოვნებს აკმაყოფილებს ჩეხეთის როგორც აუდიტორთა პალატა, ასევე ბუღალტერთა კავშირი.

- ❖ სლოვაკეთის რესპუბლიკა - აუდიტორთა პალატის რეგულირება ახორციელებს კანონმდებლობით. პალატა ადგენს და გამოსცემს აუდიტორთა განათლების სტანდარტებს.

ზემოთ განვიხილეთ ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში პროფესიული აღიარების საერთაშორისო გამოცდილება, ამავდროულად აღსანიშნავია რომ მსოფლიო პრაქტიკა ბუღალტრის და აუდიტორის პროფესიას ცალ-ცალკე არ იცნობს, აქედან გამომდინარე, ჩვენთვის მნიშვნელოვანია თუ როგორია საქართველოში როგორც ბუღალტრის, ასევე აუდიტორის პროფესიული აღიარების პრაქტიკა და პერსპექტივები, შესაბამისად სამართლებრივი ბაზა.

საქართველოში აუდიტის ჩატარების სამართლებრივი საფუძვლები განისაზღვრება

საქართველოს კანონით “ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ”, რომელიც აღგენს ჩვენს ქვეყანაში ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშგების მომზადების, წარდგენის და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების სამართლებრივ საფუძვლებს. შესაბამისად ამ კანონის მიზანია ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სამართლებრივ საფუძვლების, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების პირობებისა და წესების განსაზღვრა. საქართველოში აუდიტი ტარდება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად. მნიშვნელოვანია ასევე აუდიტორულ საქმიანობაზე სახედასხედველო სისტემების შესწავლა და განხილვა.

ყველა აუდიტორი უნდა დაექვემდებაროს ეფექტურ ზედამხედველობას დამოუკიდებელი ორგანოს მხრიდან, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესს ემსახურება. ამ ორგანოს წევრების უმრავლესობა კი დამოუკიდებელი უნდა იყოს აუდიტის პროფესიისგან. თუმცა უახლესი პროფესიული გამოცდილების მქონე აუდიტორული საქმიანობით დაკავებული პირები მონაწილეობას უნდა იღებდნენ ამ ორგანოს საქმიანობაში.

ჩვენს ქვეყანაში ბაფი აღგენს პროფესიული განათლების სტანდარტებს, ატარებს გამოცდებს. ბუღალტრებს პროფესიონალი ბუღალტრის კვალიფიკაცია ენიჭებათ მას შემდეგ, რაც გახდებიან ბაფის წევრები, დაამთავრებენ (ACCA) –ის ქართულენოვანი პროგრამის სრულ კურსს და დაგროვილი ექნებათ არანაკლებ 3 წლის პრაქტიკული გამოცდილება. ბაფის პროფესიული განათლების სტანდარტები აკმაყოფილებს ბსფ-ის ყველა სტანდარტის მოთხოვნებს. ამჟამად მიმდინარეობს ბაფის უწყვეტი პროფესიული ზრდის მოთხოვნების

გადასინჯვა და იგი სავალდებულო გახდება ყველა წევრისათვის.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში პროფესიული სერტიფიცირების პრაქტიკა დაიწყო ბაფმა 1998 წლიდან, სერტიფიცირების პროგრამა ძირითადად შეესაბამებოდა ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (ბსფ) განათლების სტანდარტებს და სწორედ ეს გარემოება გახდა 2000 წელს ბსფ-ში ბაფის გაწევრიანების მნიშვნელოვანი საფუძველი, რის შემდეგაც დაიწყო მუშაობა მომხდარიყო გადასვლა ლოკალური პროგრამიდან უფრო დახვეწილ, მსოფლიოში აპრობირებულ და აღიარებულ პროგრამაზე. ბსფ-ისა და უცხოელი პარტნიორების რეკომენდაციების საფუძველზე არჩევანი გაკეთდა ბრიტანეთის ნაფიც ბუღალტერთა ინსტიტუტის (ACCA) -ის პროგრამაზე და 2001 წლიდან დაიწყო მისი ქართულ ენაზე ადაპტირება. პროგრამის დამკვიდრებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან (USAID) თანამშრომლობამ და ადგილობრივ კანონმდებლობაზე დაყრდნობით ბაფის მიერ შემუშავებულ იქნა სახელმძღვანელოები საგადასახადო დაბეგვრაში და ბიზნესის სამართალში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის ხედვა მდგომარეობს იმაში, რომ თანამედროვე ეტაპზე საქართველოში მეტად აქტუალურია ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში პროფესიული აღიარების საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და გამოყენება, ამ მიზნის მისაღწევად კი ძლიერი საუნივერსიტეტო განათლების მიღება ბუღალტრული აღრიცხვის მიმართულებით, რაც თავის მხრივ იქნება ამ სფეროში პროფესიონალი კადრების მომზადების და ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემის სრულყოფილი ფუნქციონირების გარანტი.

ლიტერატურა/REFERENCES

1. საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია, კონფერენციის მასალები, ქ. ბუღალტრული აღრიცხვა, #10, 2008 წ.
2. ნ. გვარამია, ნ. ძიმცივიშვილი. საგადასახადო აუდიტის ზოგიერთი ასპექტი. ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია - ევროპული ინტეგრაცია და საქართველო. თბ., 2016 წ. 19 ივნისი
3. ნ. გვარამია, ნ. ძიმცივიშვილი. აუდიტორულ საქმიანობაზე ზედამხედველობის ზოგიერთი ასპექტი. ევროპის სამეცნიერო ფონდის ინიციატივის ინსტიტუტი, XII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „განათლება და ეკონომიკა“, პირველი პოლონურ-უკრაინული ფორუმი. ორგანიზატორები - პოლონეთის მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების სამინისტრო, კუიავო-პომორსკის ვოევოდსტვოს, ევროპული ინტეგრაციის რეგიონული ცენტრი და ქ. ვლოცლავკის მერია. 21-24 მაისი, ვლოცლავკე-კანიევი, პოლონეთი, 2015.წ. გვ. 291-295
4. საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ. 2012 წ. 29 ივნისი.
5. Nazi Gvaramia. THE ISSUES OF ACTIVITY ACCOUNTING AND AUDIT REGULATION IN GEORGIA. ECONOMICS AND MANAGEMENT: 2013. 18 (4) ISSN 2029-9338 (ONLINE). Kaunas, Lithuania.

გლობალიზაცია, მცირე ქვეყნები და საქართველოს ეკონომიკური მომავალი

GLOBALIZATION, SMALL COUNTRIES AND ECONOMICAL FUTURE OF GEORGIA

მაია ჭანია

MAIA CHANIA

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სოხუმის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

PhD in Economics, Assistant Profes-
sor of Sokhumi State University

ანოტაცია

მიდგომა გლობალიზაციისადმი არაერთგვაროვანია, მისი აღქმა სხვადასხვანაირია საზოგადოებაში. როგორც წესი, გლობალიზაცია წარმოადგენს ქვეყნებისა და რეგიონების დაახლოების პერმანენტულ პროცესს, რომელიც არღვევს ენობრივ, ტერიტორიულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ეთნიკურ, ფსიქოლოგიურ ბარიერებს და მიმართულებას გვაძლევს კულტურულ-ცივილიზირებული ერთიანობისაკენ და სუპერ ნაციონალური სისტემის რეგულირებისაკენ.

ეკონომიკური გლობალიზაცია ეწოდება პროცესს, რომელსაც ადგილი უკავია მსოფლიო ეკონომიკის მასშტაბით და რომელიც მუდმივად ზრდის ეროვნული ეკონომიკების ურთიერთდამოკიდებულებას. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეალური მოდელი უნდა ასახავდეს პროგრესულ იდეებსა და მიღწევებს როგორც დასავლეთ ისე აღმოსავლეთ ცივილიზაციებში და ითვალისწინებდეს საქართველოს ეროვნული ეკონომიკის თავისებურებებს.

თავისი პოტენციალით საქართველო შეძლებს გამორჩეული ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიო თანამეგობრობაში. იგი უნდა წარმოვიდგინოთ როგორც ევროპის კავშირში გაერთიანებული, ამ კავშირის თანასწორუფლებიანი და ღირსეული წევრი ქვეყანა, რაც მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პირობებს შეუქმნის მას. ჩამოყალიბდება სოციალურ-ეკონომიკური წონასწორობა, როგორც ქვეყნის ევოლუციური განვითარების მტკიცე გარანტი. საქართველოს გააჩნია სათანადო საბაზო რესურსები, რათა თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში მონახოს თავისი ისტორიული ადგილი და შეასრულოს რეგიონში, ძლიერ კულტურულ ტრადიციებზე დაფუძნებული და გლობალიზაციის პოზიტივებზე ორიენტირებული ქვეყანის როლი.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია; ეროვნული ეკონომიკა; ეკონომიკური ზრდა; ახალი მსოფლიო წესრიგი.

Abstract

Attitude to globalization is not similar, it's perception takes place in different ways. Generally, globalization is a permanent process of strengthening the inter influence and inter relation between the countries and regions, which breaks the language, territorial, economic, political, psychical barriers and directed to greet cultural-civilized unity and super national system of regulation.

Economic globalization may be called to the process taking place in the scale of world economic, which continuously strengthens the inter influence and inter relation of the national economies. The real model of social-economic development of the country, which will be correspondent with peculiarities of Georgia, should be contemplated and should depict achievements and progressive ideas existed in Western, as well as Eastern civilizations.

Georgia, with its potential will be able to take an essential place in world commonwealth. It should be imagined as a plenipotentiary and worthy member country involved in Euro Union, what will make a stable and safe conditions of development for it. Formed social-economics balance, as a firm guarantee of evolutionary development of the country. As it was mentioned for several times, Georgia has the enough basis resources, in order to find its historical place under the conditions of modern globalization end maintain a role of leader in the Region, as the country based on strong cultural traditions and orientated on positives of globalization.

Key words: Globalization; National Economy' Economic Growth; The New World Order.

მსოფლიო გლობალიზაციის პროცესი სულ ახალ-ახალ სახელმწიფოს ითრევს თავის მორევში. დასავლეთის დემოკრატიულ სივრცესთან თანდათანობით დაახლოებით, დიდი საერთაშორისო პროექტების განხორციელებაში მონაწილეობით ამ პროცესში თავისთავად ებმება საქართველოც. „ინდუსტრიული საზოგადოების გადაზრდამ პოსტინდუსტრიულში ახალი ბიძგი მისცა მსოფლიო განვითარებას, დააჩქარა გლობალიზაციის პროცესი. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ მან ეკონომიკას სოციალური ორიენტაცია შესძინა“[1]. სანამ სპეციალისტები ამ ახალ, ჯერ ბოლომდე შეუსწავლელ ფენომენს იკვლევენ, მის დეფინიციას იძიებენ და ნაირ-ნაირ კონცეფციებს ამუშავებენ, ის განუხრელად შემოდის ჩვენს ცხოვრებაში და დიდ გავლენას ახდენს თითოეული ჩვენგანის აზროვნებასა და ქცევაზე. ამიტომ, თუ ვფიქრობთ მომავალზე, ვაღივებულნი ვართ ვიცოდეთ, რასთან გვაქვს საქმე, ან რა ჩრდილ-ნათელი გააჩნია და რას გვიქადის გლობალიზაცია მომავალში.

გლობალიზაციაში იგულისხმება მსოფლიო მასშტაბით წარმოების გასაზოგადოება-ინტერნაციონალიზაცია. „კაპიტალის ბაზრების გლობალური ინტეგრაციის ზრდა ხელს უშლის ცალკეული ქვეყნების მიერ ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას. ეკონომიკის კარგახსნილობას ურთიერთსაპირისპირო მოვლენები მოსდევს: ერთი მხრივ, მიმდინარეობს სხვადასხვა ქვეყნების მუდმივობათა ინტეგრაცია, იქმნება თავისუფალი სავაჭრო ზონები, ხოლო მეორე მხრივ, ცალკეული ქვეყნები ამჟღავნებენ მსოფლიო ბაზრის სურვილს“.[2] კაპიტალის თავისუფალი ბრუნვა, საერთო ბაზრის ჩამოყალიბება, ინფორმაციის, იდეების, თანამედროვე მეცნიერებისა და მარკეტინგის გამოცდილების სწრაფი გაცვლა, ყოველივე ეს გლობალიზაციის უცილობელი შედეგია. აქედან გამომდინარე, იგი ხელს უწყობს პოლიტიკურად, ეკონომიკურად, იდეოლოგიურად მოწესრიგებული სამყაროს ჩამოყალიბებას. ეკონომიკური გლობალიზაცია, ერთის მხრივ შეიძლება განვიხილოთ, როგორც პროგრესული მომენტი. ეს იმით აიხსნება, რომ იგი პლანეტაზე არსებული შეზღუდული რესურსების ეფექტიანი გამოყენების საშუალებაა და შესაძლებლობას იძლევა თითოეულმა ეროვნულმა სახელმწიფომ საგარეო ვაჭრობის მეშვეობით, ნაკლები დანახარჯის გაღებით, შეივსოს მისთვის აუცილებელი რესურსი. ამ გაგებით, გლობალიზაცია, ეკონომიკური თვალსაზრისით, ყველასთვის მომგებიანია, როგორც მდიდარი, ასევე ღარიბი ქვეყნებისათვის, რამდენადაც საბოლოო ანგარიშში იზრდება მსოფლიო წარმოებითი შესაძლებლობების მრუდი. ამასთან, მსოფლიო სულ უფრო და უფრო ურთიერთდამოკიდებული ხდება და იქმნება კაცობრიობის გაერთიანების, გამყარების შესაძლე-

ბლობა. ამავე დროს ტრანსნაციონალური ეკონომიკის შექმნა მრავალ ეტკვსა და შიშს წარმოშობს. ეს იმით აიხსნება, რომ გლობალიზაციის შედეგით უფრო მეტ სარგებლობას დებულობენ ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები. ეს აისახება ამ ქვეყნების ეკონომიკურ ზრდასა და ცხოვრების დონის ამაღლებაში, მათ შესაძლებლობებში, თავიანთი ნება მოახვიონ შედარებით განუვითარებელ ქვეყნებს, რომელთა სუსტი ეკონომიკა ხდება მდიდარი ქვეყნების ეკონომიკის დანამატი, მათთვის იაფი ნედლეულის, სამუშაო ძალის მიმწოდებელი და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია - მდიდარ ქვეყნებში წარმოებული საქონლის გამსაღებელია.

საქართველო გლობალური ეკონომიკის შემადგენელი ნაწილია. ეს პროცესი მომავალში კიდევ უფრო გაძლიერდება. ამიტომ საქართველოს სურს ეს თუ არ სურს, უნდა იცხოვროს არა მხოლოდ საკუთარი, არამედ გლობალური პროცესების გათვალისწინებით.

უეჭველია, გლობალიზაცია დაეხმარება ქვეყნების, საერთოდ კაცობრიობის აღმასვლით განვითარებას, მსოფლიო მასშტაბით თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებას. რა თქმა უნდა, ის დიდ სიკეთეს მოუტანს საქართველოსაც, ხელს შეუწყობს იმ დახურული სივრციდან გასვლაში, რომელიც ასწლეულების განმავლობაში აშორებდა პროგრესულ პროცესებს, უზრუნველყოფს მის უსაფრთხოებას და დემოკრატიული გზით განვითარებას. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ვაღიარებთ გლობალიზაციის სიკეთეს, რისკ ფაქტორიც უნდა გავითვალისწინოთ. უნდა გავაცნობიეროთ ისიც, რომ გლობალიზაცია არ ეფუძნება საყოველთაოდ აღიარებულ ფასეულობებს. არ უნდა დაგვშვავთ, რომ გლობალიზაცია გასასამართლებელი საბუთი არ გახდეს შემტვეი, ზღვარდაუდებელი, ლიბერალური კაპიტალიზმის სასარგებლოდ, რომელსაც თან ახლავს კულტურების ნივთიერება. გლობალიზაციის ფართო სივრცის შიგნით მაინც უნდა დარჩეს ხალხათი ადგილი აზრთა სხვადასხვაობისთვის, რომლებსაც ანგარიში უნდა გაეწიოს კომპანიების მართვიდან დაწყებული, სკოლებისა და უნივერსიტეტების დაარსებით დამთავრებული. გათვალისწინებული უნდა იქნეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი: ადამიანის უფლებისადმი პატივისცემა, ის ქმედითი ნორმა, რომელიც საჭიროა პოლიტიკური, დიპლომატიური, ეკონომიკური და საერთაშორისო ურთიერთობების წარმართვისათვის. მცირე ქვეყნისთვის, მათ შორის საქართველოსთვის, ძალზე მტკივნეულია საკუთარი და გლობალური პრობლემების შესამება. ფაქტობრივად საქართველო მხოლოდ ახლახან ჩაერთო მსოფლიო ბაზარში, მსოფლიო ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ სივრცეში. მაგრამ ეს ჩართვა ცალმხრივი

აღმოჩნდა. საქართველოს გარე სამყაროდან გაც-
ილებით მეტი შემოაქვს, ვიდრე გააქვს. ეს მდგო-
მარეობა კი ახრჩობს ეროვნულ ეკონომიკას.

მსოფლიო გლობალიზაციას გვერდს
ვერც ერთი ქვეყანა ვერ აუეღის, მათ შორის საქა-
რთველოც. ის, როგორც დამოუკიდებელი, დიდი
ეკონომიკური და კულტურული ტრადიციებს
მქონე ქვეყანა, მსოფლიო გლობალიზაციით
განსაზღვრული, „ახალი მსოფლიო წესრიგის“
დამყარებას უნდა შეხვედეს შესაბამისად მომზადე-
ბული. გლობალიზაციის ერთიანი, საყოველთაო
განმარტება, დეფინიცია არ არსებობს, ამდენად
მართებულად მიგვაჩნია მოსაზრება იმის შესახებ,
რომ „გლობალიზაცია არის ის, რასაც ცალკეუ-
ლი ადამიანი მიიჩნევს გლობალიზაციად“. [4]
ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ერმა
ამ პროცესში, დიდი ილიას სიტყვებით „ენა, მამ-
ული, სარწმუნოება“ შეინარჩუნოს. ქვეყანამ უნდა
შეძლოს და დაიცვას ქვეყნისა და ერის ინტერე-
სები, უზრუნველყოს ქვეყნის ინტელექტუალური
დონის ამაღლება, აუცილებელია ქვეყნის ინსტი-
ტუციონალური სტრუქტურების - საფინანსო-სა-
ბანკო სისტემის, ეროვნული ინვესტირების და
ბიზნესმენების, განსაკუთრებით საერთაშორისო
ბიზნესით დასაქმების, ყველა დონის მეწარმე-
ბის, აგრეთვე საკანონმდებლო და აღმასრულებ-
ელი ხელისუფლების ინტერესებისა და პასუხ-
ისმგებლობის დონის ამაღლება, უცხოელი ინვეს-
ტირებისა და ბიზნესმენების ეფექტიანი საქმი-
ანობისათვის ხელსაყრელი გარემო პირობების
შექმნა. ასევე აუცილებელია სამრეწველო სექტო-
რის, განსაკუთრებით მსხვილი მეწარმეობისა და
ბიზნესის განსავითარებლად მეტი ქმედითი დახ-
მარებისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

საქართველოს შეუძლია და უნდა შე-
ძლოს ახალი ტექნოლოგიური სისტემების შემ-
უშავებელ, საჭიროების შემთხვევაში უცხოეთ-
ში შემქმნ და გამოქვეყნებულ ქვეყნად გადაი-
ქცეს. ქართველი პროფესიონალები ყოველთ-
ვის გამოირჩეოდნენ პროფესიულობით და თუ
შესაბამისი დაფინანსება იქნება, ამჟამადაც
შეძლებენ მსოფლიოს მიაწოდონ და საკუთარ
ქვეყანაშიც წარმატებით გამოიყენონ მსოფლიო
სტანდარტების ტოლფასი ტექნოლოგიები, გან-
საკუთრებით ქვეყნის სამრეწველო პროფილის
წარმოებაში. შორეულმა და უახლესმა ისტო-
რიამაც შემოგვინახა უამრავი ასეთი მაგალითი,
რომელიც დაამშვენებდა არა მხოლოდ პატარა,
დიდი შესაძლებლობების მქონე საქართველოს,
არამედ გაცილებით დიდ ერსა და სახელმწიფო-
საც.

საინფორმაციო რევოლუცია, ინფორმა-
ციის განვითარება და გამოყენების დიდი მასშ-
ტაბები თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთი მთავარი
თავისებურებაა და გლობალიზაციისა და ახალი
მსოფლო წესრიგის დამყარების იდეის წარმოქმ-

ნისა და პრაქტიკულად განხორციელების ერთ-
ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი და ფაქტორია.
[3] ცხოვრებისეულმა პრაქტიკამ ცხადყო, რომ
მომავალში დიდი წარმატების მიღწევა შეუძლია
იმ ერსა და ქვეყანას, რომელსაც აღმოაჩნდება
უნარი მიიღოს და გამოიყენოს თანამედროვე ინ-
ფორმაციები საქმიანობის თითქმის ყველა სახეო-
ბის მიხედვით. საქართველოს გადარჩენა და ღირ-
სეულად დამკვიდრება ახალ მსოფლიო სისტემა-
ში დიდად იქნება დამოკიდებული განვითარების
ამ ფაქტორების ამოქმედება-გამოყენებაზე.

საქართველოს შეუძლია და ცდილობს
კიდევ, არა მხოლოდ მოიპოვოს ახალი ინფორ-
მაციები, არამედ გახდეს ინფორმაციის ტრანზ-
იტი ქვეყანაც, რაც დიდი რაოდენობით ინფორ-
მაციის მიღების შესაძლებლობასთან ერთად,
მნიშვნელოვან დამატებით ფინანსურ რესურსებს
მოუტანს მას.

საქართველოს მზადყოფნა წარმატებით
ჩაერთოს გლობალიზაციის და ახალი მსოფლიო
წესრიგის სისტემაში, დიდად იქნება დამოკიდე-
ბული იმაზე, მომზადების დონისძიებათა კომ-
პლექტში თუ როგორ გაითვითცნობიერებს და
განახორციელებს ეკონომიკის, მათ შორის სამ-
რეწველო სექტორის განვითარების დაჩქარების
ფაქტორების მნიშვნელობას. გლობალიზაციას-
თან მიმართებაში უნდა ჩამოყალიბდეს ფაქტორ-
თა ერთობლიობა, რომელთა მიზანმიმართული
გამოყენებით მომზადდება რეალური საფუძველი
სახელმწიფოებრივი აზროვნების მაღალი დო-
ნის მიღწევისათვის. ყველაზე მნიშვნელოვანი
კი ისაა, რომ ქვეყნის ეკონომიკური სისტემა
ეროვნული ფენომენიდან ამოიზარდოს. ამასთან,
იგი უნდა განვიხილოთ, როგორც ტრადიციული
მეურნეობისა და მსოფლიო პროგრესული გამოც-
დილების სინთეზის საფუძველზე ჩამოყალიბე-
ბული ეკონომიკა. ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი
და უსაფრთხო განვითარებისათვის აუცილებე-
ლია გლობალიზაციის მთავარი სუბიექტების
- ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და
სხვა საერთაშორისო სრუქტურების ფინანს-
ური, ეკონომიკური და ორგანიზაციული პოტენ-
ციალის რაციონალური და კოორდინირებული
გამოყენება. გლობალიზაციის პროცესში გან-
საკუთრებით იზრდება სახელმწიფოს სოციალ-
ურ-ეკონომიკური ფუნქციები, საგანგებოდ უნდა
გამოვეყთ ეროვნული ინტერესების დაცვის,
საერთაშორისო სრუქტურებში მონაწილეობის,
საზოგადოებასთან ინტეგრაციული კავშირების
გადრმაგების, პოლიტიკური და ეკონომიკური დე-
მოკრატიის სრულყოფის ფუნქციები. თავისი პო-
ტენციალით საქართველო შეძლებს გამორჩეული
ადგილი დაიმკვიდროს მსოფლო თანამეგობრო-
ბაში. იგი უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ევ-
როპის კავშირში გაერთიანებული, ამ კავშირის
თანაწვრთვულებიანი და ღირსეული წევრი

ქვეყანა, რაც მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პირობებს შეუქმნის მას. ჩამოყალიბდება სოციალურ-ეკონომიკური წონასწორობა, როგორც ქვეყნის ევოლუციური განვითარების მტკიცე გარანტი. საქართველოს გააჩნია სათანადო საბაზრო რესურსები, რათა თანამედროვე გლო-

ბალიზაციის პირობებში მონახოს თავისი ისტორიული ადგილი და შეასრულოს რეგიონში ძლიერ კულტურულ ტრადიციებზე დაფუძნებული და გლობალიზაციის პოზიტივებზე ორიენტირებული ქვეყნის როლი.

ლიტერატურა/REFERENCES

1. რ. ასათიანი. გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო. თბილისი, 2010, გვ.17 {R. Asatiani. Globalization, Economic Theory and Georgia. Tbilisi, 2010, p.17};
2. ა. აბრალავა. “ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია”. თბილისი. 2005, გვ. 155 {A. Abzalava. “The national economy and globalization”. Tbilisi. 2005, p .155
3. Бек У. Что такое глобализация? перевод с немецкого. М., 2001; Гидденс Э. Ускользающий мир. Как глобализация меняет нашу жизнь, М., 2004 გვ.56
4. Brakman S., Garretsen H., Marrewijk CH., Witteloostuijn A. Global Economy: An introduction. გვ.18

FINANSIAL REPORTING AND AUDITING IN THE CONTEXT OF ASSURANCE OF INFORMATION TRANSPARENSY OF THE ACTIVITY OF ECONOMIC ENTITIES OF UKRAINE

აუდიტი და ფინანსური ანგარიშგება სავაჭრო-საინფორმაციო გამჭვირვალობის უზრუნველყოფის კონტექსტში უკრაინის ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობაში

ნატალია შალიმოვა

ე.მ.დ. კიროვოგრადის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროფესორი

NATALIIA SHALIMOVA

Dr. of Economics, Professor, Head of Audit and Taxation Department Ukraine, Kirovohrad, Kirovohrad National Technical University

გალინა კუზმენკო

ე.მ.დ. კიროვოგრადის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის დოცენტი

HALYNA KUZMENKO

PhD in Economics, Docent of Audit and Taxation Department Ukraine, Kirovohrad, Kirovohrad National Technical University

Abstract

The purpose of the study is to disclose the interdependence of the processes of forming and publication of the financial reporting and audit quality as interdependent elements of ensuring the information transparency of the activity of economic entities of Ukraine. Such shortcomings of Ukrainian system of information disclosure that is publication of annual financial statements in scope which is not satisfy the requirements of laws and regular acts, unconfornity between the scope of published financial statements and auditors' obligation, discrepancy between managerial staff obligations and auditors' obligation have been analyzed, the ways of its solutions have been proposed. The results of investigation show that the increasing of audit quality will be promoted by the improvement of organization of enterprise's accounting, internal control and management what have to be provided by the elaboration of the obligatory regulations concerning assessing the observance going-concern principle, observance of laws and regulation which are influenced the enterprise's activity, organization of internal control and fraud's preventing system. The components of guarantying information transparency of enterprise's tax relations in the system of financial reporting have been investigated. The format of disclosure the information about qualitative status of taxation in the annotations to the financial reporting taking into account the demands of Ukrainian Tax Code as regards to the process of tax administration has been proposed.

Key words: *financial reporting, information transparency, tax relations, auditing, auditor's report*

ანოტაცია

სტატიის მიზანს წარმოადგენს უკრაინის ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობის ფინანსური ანგარიშგების ფორმირებისა და გასაჯაროების, ასევე აუდიტის ხარისხის, როგორც ურთიერთდაკავშირებული პროცესების, ურთიერთკავშირების გამოვლენა. გაანალიზებულია უკრაინაში ინფორმაციის გახსნილობის სისტემის ისეთი უარყოფითი მხარეები, როგორებიცაა წლიური ფინანსური ანგარიშგების გასაჯაროება იმ მოცულობით, რომელიც არ შეესაბამება ნორმატიული და საკანონმდებლო დოკუმენტების მოთხოვნებს, გასაჯაროებული ფინანსური ანგარიშგების შინაარსისა და აუდიტორის ვალდებულებების შეუთანხმებლობა, მართვის პერსონალის და აუდიტორის მოვალეობების შეუსაბამობა. შემოთავაზებულია აღნიშნული პრობლემების გადაჭრის გზები.

კვლევის შედეგები გვიჩვენებენ, რომ აუდიტის ხარისხის ამაღლებას ხელს უწყობსადრიცხვის ორგანიზაციის, შიდა კონტროლისა და საწარმოში მენეჯმენტის გაუმჯობესება, რაც თავის მხრივ

შეიძლება უზრუნველყოფილი იქნას შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის შემუშავებით, რომელიც შეეხება საწარმოს საწმიანობის უწყვეტობის პრინციპის დაცვას, ნორმატიული და საკანონმდებლო დოკუმენტების დაცვას, რომლებიც თავის მხრივ მოქმედებენ საწარმოს საქმიანობაზე, შიდა კონტროლის სისტემის ორგანიზაციაზე და თაღლითობის აღმოფხვრაზე.

შემოთავაზებულია ინფორმაციის გახსნილობის ფორმატები ხარისხიანი დაბეგერის მდგომარეობაზე ფინანსურ ანგარიშგებაში, უკრაინის საგადასახადო კოდექსის შესაბამისად საგადასახადო ადმინისტრირების პროცესის ნაწილში.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური ანგალიშგება, საინფორმაციო გამჭვირვალობა, საგადასახადო ურთიერთობები, აუდიტი, აუდიტორული ანგარიში.

In the conditions of the development of market relations, many decisions of the legislative and executive authorities and businesses are inaccurate and false due to the lack of reliable and complete information. For the same reason many macro- and microeconomic models which are recommended by the experts for the Ukrainian economy in general and for specific economic entities in particular, do not work. Information transparency involves many aspects but the main two aspects are effective operating information infrastructure of the market and a tried and tested mechanism of information disclosure by the participants in this market.

According to Directive 2006/43/EU [1] audit is a key element in ensuring the reliability in the chain of financial reporting which is of considerable public interest. At the same time financial reporting is an integral part of the audit concept, since it accumulates the interests of various entities: users of financial reporting who need reliable and complete information on the activities of an economic entity; management that should provide the preparation of reports based on the principles and procedures required by legislative and regulatory documents in accounting; auditors who will express their opinion about the reliability of reporting which is designed for users of financial information.

Theory of auditing is based on some assumptions (or postulates) elaborated by such academics as Mautz and Sharaf (1961), Lee (1986; 1993), Flint (1988) [2-5]. One of assumptions (postulates) states: "Standards of accountability, for example of conduct, performance, achievement and quality of information, can be set for those who are accountable; actual conduct, performance, achievement, quality and so on can be measured and compared with these standards by reference to known criteria; and the process of measurement and comparison requires skill and the exercise of judgment". This postulate emphasizes the significant importance of legislation concerning financial reporting in theory and practice of audit, as for an auditor to judge the fairness of financial reporting (as "true and fair" or "presented fairly"), he/she must have certain standard or sample for work. In this case R. Adams noted that the more accurately the legal requirements to provide financial reporting are stated, the easier for an auditor to perform a review. If the formulation of the requirements is vague then there will be a

greater likelihood of conflict between a client and an auditor [6, p. 231]. The consequence of this situation can be not only the conflict between the auditor and the client, but also a significant decrease of the informational value of the financial reporting as well as auditing report as a result of the auditing.

The problems of compiling financial reporting and methodological approaches to its preparation are constantly in the spotlight of the national and foreign scientists but there is a lack of an integrated approach in the research of the quality of financial reporting and audit as the interrelated elements of information transparency and information security in society.

Some studies in this area are carried out by rating agencies. For example, in 2009 the rating agency Standard & Poor's together with the analytical company "Financial Initiatives Agency" with the support of US-AID project "Capital Markets Development" carried out the analysis of information transparency of the Ukrainian banks [7]. Now such researches are carried out by Ukrainian Credit Rating Agency. The analysis was based on the principle of complete and timely disclosure of all essential information for investors and other stakeholders (analysts, clients, etc.). The research methodology included the analysis of publicly available information contained in the three main sources: annual reports of banks, official web-sites of the banks and the reporting provided to the regulatory authorities. The study showed that the annual reports of the banks were primarily a part of their image than a real tool of communication with stakeholders, and the degree of information assurance of this source was 17.5%, which is the worst indicator among the three main sources of information. The reason of this result was the absence of the tradition of using annual reports in communicating with investors. But the study of the indicator of accessibility and informative value of the audit reports according to the results of verification of annual financial statements (which is obligatory for all banks) was not carried out, although it is generally accepted that the audit should increase the value of information, provide it with greater credibility and, accordingly, reduce informational risk [8, p. 26-31; 9, p.17-18]. Similar studies for other entities which are subjects to mandatory audit are virtually absent, but according to the authors the results would have been even

worse.

Analyzing the quality of financial reporting of public joint stock companies, information and availability of the results of audits we may single out several problems: (1) there were no requirements for mandatory disclosure of the audit report for a long time; (2) financial reporting is published incompletely and that mainly concerns a limited amount of notes that does not comply with regulatory requirements; (3) there is a discrepancy between the amount of the released financial reporting and objectives which are put forward to the auditors; between responsibilities of management personnel in the regulations of Ukraine and the objectives of the auditors in accordance with international auditing standards.

Article 9 of “The responsibilities of economic entities under audit” of the Law of Ukraine “On Auditing” [10] notes that “the financial reporting of an economic entity under the law is the subject to mandatory audit and should be released in accordance with the laws of Ukraine”, but there is not a word on the publication of the report itself. There were no such requirements in the Law of Ukraine “On Accounting and Financial Reporting in Ukraine” [11]. Only in May 2011 the amendments were made which provided mandatory disclosure by individual entities their financial reporting “with the auditor’s report” (item 4, article 14 of “Submission and disclosure of financial reporting”).

One of the problematic issues in this respect is the notes to the financial reporting. The necessity of the notes is the result of one of the fundamental principles underlying the western and national accounting that is the principle of complete disclosure, according to which the financial reporting must contain all information about actual and potential consequences of business transactions and events that may affect the decisions made based on it. The information to be disclosed, is provided directly in the financial reporting or notes thereto, therefore notes to the reports are equal and valuable components of financial reporting and not a secondary document.

Annual financial reports of public corporations mostly only fragmentally (some would say accidentally) include issues as required for coverage in the notes under specific regulations (standards) of accounting and certain provisions of the order of accounting policy. The rest of their content is repetition of the provisions of accounting standards that are mandatory and which have no variation (alternatives). Almost all companies voluntarily do not disclose optional information. In general, the way in which these additional notes are presented by businesses do not have the necessary informational content and may not be accessible to users for more information about the company.

Let us consider the issue of disclosure of information about the company as the subject of tax relations, as indisputable is the fact that an important aspect of assessing the financial situation of the company should be

the assessment of its tax potential and the state of budget payments.

